# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 23 სექტემბერი, 2008 წელი.

№ 178 (6036)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.








## ჭეიშვილის მხატვრული სიტყვა ამხელს...

9



## „სამწუხაროა, რომ დღეს სააკაშვილი საქართველოს პასპორტია"

3

## მიშა დევნილებს ძროხებსაც კი დაჰპირდა

4

## ...თორემ აგორდება ფართომასშტაბიანი საპროტესტო ტალღა სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით!

2

## ჩინოსნები პრეზიდენტის იმიჯსაც აღარ უფრთხილდებიან

12



## რატომ უყვარს მაკკეინს მიშა



არ არის გასაკვირი, რომ 41 წლის სააკაშვილი, ვისაც ქართველები მიშას ეძახიან, მიმართავს კრიზისულ მომენტში მაკკეინს: ისინი მეგობრობენ უკვე ათი წელია და მაკკეინისთვის ეს არის ერთ-ერთი მაგალითი მეტად მჭიდრო ურთიერთობისა უცხოელ ლიდერებთან

Newsweek

8

## ინფორმაცია

### ახლა აფხაზები გვიწყობენ პროვოკაციებს



**სოფელ ხურჩაში გუშინ გამთენიისას მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სპეციალურ განცხადებასავრცელებს. შსს-ის ინფორმაციით, აფეთქება დაახლოებით 07:00 საათზე სოფელ ხურჩაში რუსების მიერ დანაღმულ ტერიტორიაზე მოხდა, რის შედეგადაც დაიჭრა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის ორი თანამშრომელი. დაჭრილები ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ ეტაპზე მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

ზუგდიდის საავადმყოფოშივე იმყოფებიან რუსი ოკუპანტების მიერ დაჭრილი კიდევ 3 ქართველი პოლიციელი. მათგან ერთ-ერთის მდგომარეობა შედარებით მძიმეა.

შეგახსენებთ, რომ რუსული ბლოკ-პოსტიდან გახსნილ ცეცხლს ორი დღის წინათ ერთი ქართველი პოლიციელი ემსხვერპლა. შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმაციით, 21 სექტემბერს დაახლოებით 19:00 საათზე, რუსული ბლოკ-პოსტის მიმართულებიდან ცეცხლი გაუხსნეს სოფელ ხურჩის ტერიტორიაზე მდებარე ქართული პოლიციის საგუშაგოს, რა დროსაც ადგილზე გარდაიცვალა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის ლეიტენანტი რამაზ კიტია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### კონსერვატორები დევნილთა პრობლემებს იხილავენ

**კონსერვატიულმა პარტიამ ცხინვალის კონფლიქტის შედეგად დევნილი ადამიანების მდგომარეობის შემსწავლელი კომისია შექმნა.**

როგორც პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, კომისიის წარმომადგენლები ერთი კვირის განმავლობაში კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში, თბილისსა და რეგიონებში დევნილების მდგომარეობას გაეცნობიან.

— ჩვენ დავდებთ კონკრეტულ ფაქტებს, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებიან დევნილები. ზოგადი სურათი კი უკვე გვაქვს, გასული დღეების განმავლობაში თბილისის საბავშო ბაღებსა და სკოლებს ვსტუმრობდით, იქ დევნილები უმძიმეს მდგომარეობაში არიან. არ აქვთ ლეიბები და საბნები, ჰიგიენური საშუალებები, საკვები მინიმალურია, 10 დღეში ერთხელ ნახევარი კილოგრამი ლობიო, 300 გრამი ზეთი, კილონახევარი მაკარონი და ა.შ, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

მისივე თქმით, დევნილთა 80% ასეთ მდგოამრეობაშია, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ხელისუფლებას ე.წ საჩვენებელ ვითარებაში ყავს, უდგათ მაცივრები, სარეცხი მანქანები.

### კანონპროექტი — „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადებით, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონპროექტი მთელ რიგ სამართლებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეზღუდვებზეა აგებული.**

როგორც ბაქრაძემ აღნიშნა, პროექტი ოკუპირებულ რეგიონებში ინვესტიციებსა და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე სერიოზულ შეზღუდვას ითვალისწინებს. ასევე, გათვალისწინებულია უკანონოდ გაცემული მოქალაქეობის გაბათილება და არალეგიტიმური სტრუქტურების უკანონოდ ცნობა.

კანონპროექტზე ინტერფრაქციული ჯგუფი მუშაობს, რომელსაც იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი ხელმძღვანელობს.

**ინტერპრესნიუსი**

## განცხადება

**...თორემ აგორდება ფართომასშტაბიანი საპროტესტო ტალღა სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით!**

**მიგვაჩნია, რომ კრიზისული მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცხადებული „დემოკრატიის ახალი ტალღის“ პრაქტიკული განხორციელებისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, არაუგვიანეს 2009 წლის გაზაფხულისა დაინიშნოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო რიგგარეშე არჩევნები, მანამდე კი:**

დაისვას 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებში დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რისთვისაც სასწრაფოდ უნდა შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების წარმომადგენლები, საერთაშორისო ექსპერტები; საზოგადოებამ უნდა მიიღოს გარანტია, რომ უზრუნველყოფილი იქნება კომისიის წევრთა უსაფრთხოება, კომისიის მუშაობის გამჭვირვალობა და დასკვნის საჯაროობა;

გადადგნენ პრემიერ-მინისტრი და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოში, რუსული აგრესიისა და ოკუპაციის დროს, გამოავლინეს არასახელმწიფოებრივი აზროვნება, უუნარობა, არაპროფესიონალიზმი და სახელმწიფო პირებისათვის სრულიად შეუფერებელი მორალური სახე; ამასთანავე, ახალი მთავრობის ფორმირებისას უნდა გამოირიცხოს მათი დაბრუნება მთავრობის შემადგენლობაში;

დაიწყოს პროცესი იმ საკონსტიტუციო ცვლილებების გასაუქმებლად, რომლებმაც დაარღვია ბალანსი პრეზიდენტის, აღმასრულებელი და საკანონმდებლო სახელისუფლებო შტოების ურთიერთმიმართებაში;

განთავისუფლდეს საქართველოს რადიო და ტელეკომპანიები სახელისუფლებო წნეხისაგან, რაც საშუალებას მისცემს საზოგადოებას, სრულფასოვნად განახორციელოს თავისი უფლებები — მიიღოს ობიექტური ინფორმაცია და მონაწილეობდეს პოლიტიკურ პროცესებში, ამისათვის კი უზრუნველყოფილ იქნეს ოპოზიციისა და საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ეთერში გასვლის ხელმისაწვდომობა;

დათხოვნილ იქნეს საარჩევნო კომისია, რომლის წევრთა უმრავლესობამ უკანასკნელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში გამოავლინა უკიდურესი არაკეთილსინდისიერება და არაკომპეტენტურობა; არასაპარლამენტო ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით დაიწყოს მუშაობა ახალი საარჩევნო კოდექსის მოსამზადებლად. 2009 წლის გაზაფხულზე არჩევნების ჩასატარებლად 2008 წლის ბოლომდე მომზადდეს ორგანული კანონი, რომლითაც საარჩევნო კოდექსში შევა შემდეგი ცვლილებები: ა) შეიცვლება საარჩევნო კომისიის სისტემაში წევრთა წარმომადგენლობის პრინციპი; ბ) მოხდება საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული პრინციპებისა და პროცედურების სისტემური სრულყოფა;

განხორციელდეს ზომები სასამართლოს დამოუკიდებლობის მისაღწევად. ამისათვის კი, პირველ რიგში, გამოირიცხოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში პარლამენტის წევრთა სავალდებულო წარმომადგენლობა. თავის მხრივ, პარლამენტმა მისთვის გამოყოფილი კვოტები გამოიყენოს საბჭოში მოსამართლეთა წარსადგენად.

ამ მოთხოვნებიდან არც ერთის შესრულებას არ სჭირდება არც ხანგრძლივი პერიოდი და არც განსაკუთრებული საორგანიზაციო ძალისხმევა. მთავარია ხელისუფლების პოლიტიკური ნება. თუ უახლოესი ერთი თვის განმავლობაში არ გამომჟღავნდა ამგვარი ნება და არ შესრულდა ზემოაღნიშნული პირობები, გარდაუვალად აგორდება ფართომასშტაბიანი მწვავე საპროტესტო ტალღა მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით.

**„ქართული აკადემია“**
**20.09.08**

## სამხედრო სწავლება

### „სტაბილურობა“ — არასტაბილურობისთვის

**რუსეთის და ბელორუსის ტერიტორიებზე მასშტაბური სამხედრო სწავლება დაიწყო, სახელწოდებით: „სტაბილურობა-2008.**

მათი მთავარი ამოცანაა, ორი მოკავშირე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების უსაფრთხოების შემუშავება. მანევრირების გეგმა 21 ოქტომბრამდე გაგრძელდება, რაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა დაამტკიცა.

სამხედრო სწავლებას რუსეთის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი ხელმძღვანელობს.

**ინტერპრესნიუსი**

## ეკლესია

### ეპარქიებს ისტორიული ტყეები დაუბრუნეს

**სამცხე-ჯავახეთისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიას ისტორიული ტყეები დაუბრუნდა. საფარის მონასტერში მიტროპოლიტმა თეოდორემ და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ირაკლი ღვალაძემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რის საფუძველზეც, მონასტრის მიმდებარე 50 ჰექტარი ტყის მასივი 20 წლით სარგებლობის უფლებით, მამათა მონასტერს გადაეცა.**

— მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც გამოიჩინა კეთილი ნება იმისათვის, რომ საქართველოს საპატრიარქოს დაუბრუნდეს თავისი კუთვნილი ისტორიული ტყეები და მიწები. ეს უმნიშვნელვანესი ფაქტია. ჩვენ გვეკისრება ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, რომ მოვუაროთ ამ ტყეს. სასულიერო პირები ყველა ღონეს ვიხმართ, რომ ის ვალდებულება რაც დაეკისრა ქართულ ეკლესიას და ამ შემთხვევაში საფარის მონასტერს პირნათლად შევასრულოთ, მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ ჩვენ ტყეებს, — განაცხადა პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, მეუფე თეოდორემ.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის განცხადებით კი, სხვადასხვა ეპარქიებში არსებულ ეკლესია-მონასტრებს მთელი წლის განმავლობაში ე.წ. ხატის ტყის 1200 ჰექტარი ტყის ფართობი უკვე დაუბრუნდა. ირაკლი ღვალაძის თქმით, სამინისტროს ბალანსზე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდისა და დაცული ტერიტორიების მიწები საქართველოს საპატრიარქოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად გადაეცა.

საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში ეკლესია-მონასტრებისთვის მიმდებარე ტყეების დაბრუნება გარემოს დაცვის სამინისტროსა და საპატრიარქოს ერთობლივი კომისიის გადაწყვეტილებებით მომავალშიც გაგრძელდება.

### ვითვლით სტიქიისგან მიყენებულ ზარალს

**აჭარის მთავრობის საგანგებო სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ სტიქიით გამოწვეული ზარალის შემსწავლელი კომისიის პირველადი შედეგები გაახმაურა.**

19 სექტემბერს აჭარის რეგიონში ძლიერმა წვიმამ და მეწყერმა 5 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა; დანგრეულია 10 სახლი; დაზიანებულია 96, მათ შორის, 2 ბათუმში, 6 ქობულეთსა და 63 ხელვაჩაურის რაიონში.

რეგიონში ამ დროისთვის 257 მეწყერსაშიში ზონაა შექმნილი, მათ შორის, ყველაზე მეტი ხელვაჩაურში.



დაზიანებულია 348 კილომეტრი საავტომობილო გზა, დანგრეულია 23 და დაზიანებულია 25 ხიდი.

რეგიონში ჯერჯერობით ისევ რჩება წყლის პრობლემა. სტიქიამ წყლის 20 სათავე ნაგებობა დააზიანა, მათ შორის 18 ხელვაჩაურში და 2 ქობულეთში. სათავე ნაგებობების აღდგენითი სამუშაოები რაიონებში უკვე დაწყებულია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ვინ როგორ ხედავს

# სხვა გზა არ გაგვაჩნია!

2006 წლიდან მოვუწოდებდი საზოგადოებას გაეცნობიერებინა შემდეგი: ნატოში გაერთიანება მიუღებელია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო. საქართველომ უნდა გაატაროს **ბლოკებს მიუმხრობლობის საგარეო პოლიტიკა** (ბლოკებს მიუმხრობლობის პოლიტიკა და ნეიტრალიტეტი განსხვავებული კატეგორიებია).

ასევე 2006 წლიდან მოვუწოდებდი საზოგადოებას გაეცნობიერებინა შემდეგი: საქართველოში და საერთოდ კავკასიაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილობის უზრუნველსაყოფად, ევროპის, ამერიკის და რუსეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებშია ხელი შეუწყონ, რათა **უშუალოდ გაერომ და ეუთომ ჩაატარონ და დააფინანსონ საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკით აპრობირებული არჩევნები**, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ხელისუფლების მიერ მის უკურნებელ სენად ქცეული არჩევნების გაყალბების პროცენტს.

საზოგადოებას, განსაკუთრებით პოლიტიკურ პარტიებს რომ ყურად ეღო ზემოაღნიშნული ორი მოწოდება, ჩვენ არ მივიღებდით ტერიტორიებდაკარგულ, დარჩენილ მიწა-წყალგაყიდულ, 7 ნოემბერს ნაცემ, 5 იანვარს და 21 მაისს მოტყუებულ საქართველოს. არც ახლაა გვიან, თუმცა ჩვენი უბედურება არის **ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერის ყოყლოჩინობა და ხელისუფლებაში სასწრაფოდ მოსვლის პათოლოგიური გონებადაბინდულობა.**

ამიტომ, ქალბატონებო და ბატონებო, დღეს როდესაც **ერის არსებობა საფრთხეშია,**

**ძირითადი პოლიტიკური პარტიების ლიდერებო:** დროებით შეაჩერეთ პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირება, მიუჯექით მრგვალ მაგიდას და საწრაფოდ შეიმუშავეთ საქართველოს გადარჩენის ტაქტიკა და მოქმედების გეგმა;

**არასამთავრობო ორგანიზაციების ერზე ორიენტირებულო ლიდერებო**: მიუჯექით მრგვალ მაგიდას და საწრაფოდ შეიმუშავეთ საქართველოს გადარჩენის ტაქტიკა და მოქმედების გეგმა;

ძირითადი პოლიტიკური პარტიების ლიდერებო და ერზე ორიენტირებულო არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებო, შექმენით **ეროვნული ხსნის კომიტეტი** და გაინაწილეთ ფუნქციები.

ქართველნო, დღეს სხვა ხსნა, სხვა გზა არ გაგვაჩნია!

**ბიძინა სავანელი,**
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

◉ რადიკალური ოპოზიცია

***გვესაუბრება რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი.***

# „სამწუხაროა, რომ დღეს სააკაშვილი საქართველოს პასპორტია“



**— ბატონო ლევან, ცხინვალის ომმა არაერთი, ჯერჯერობით პასუხგაუცემელი კითხვა წარმოშვა — ჩვენ ვამტკიცებს, რომ პირველი ტყვია ოსური პოზიციებიდან ისროლეს, ექსპერტთა ერთი და არცთუ მცირე ნაწილი კი, სხვაგვარად ფიქრობს. თქვენ როგორ აფასებთ ამ მოვლენებს, რამდენად მაქსიმალურად გამოიყენა ჩვენმა ხელისუფლებამ დიპლომატიური ბერკეტები სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, სინამდვილეში რა მოხდა?**

— ჩვენ თავიდანვე ვამბობდით — მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, ანუ შეცდომა. ეს შეცდომა მოუვიდა ყველას, ვინც მიხეილ სააკაშვილში საფრთხე ვერ დაინახა.

ეს ხელისუფლება მრავალი წლის მანძილზე ამზადებდა სისხლისღვრას. არავითარი დიპლომატიური ბერკეტები მათ არ გამოუყენებიათ, სააკაშვილს უნდოდა ომი და ეს ომი მან მიიღო.

ხელისუფლება, რომელიც მუდმივად ზრდის სამხედრო ბიუჯეტს და ოცნებობს ჰყავდეს ასი ათასი რეზერვისტი, პარალელურად პატრიოტთა ბანაკებში „ლაითად“ ქადაგებს ფაშიზმს, რა თქმა უნდა, ომისთვის ემზადებოდა.

ჩვენ გვახსოვს, სააკაშვილი ხშირად ამბობდა და ამბობს კიდეც — რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართო... სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, თუკი ვინმე, საქართველოში, ნაციზმის რომელიმე სახეობას იქადაგებს, იქნება ეს ყალბი პატრიოტი სააკაშვილი, თუ გულწრფელი გამსახურდია, ან ვინმე იტყვის, ყველაზე უკეთესები ვართო, იმ წუთში საქართველო დაიღუპება, მოხდება ან სამოქალაქო ომი, რაც ერთხელ უკვე გადავიტანეთ, ან მორიგი ტერიტორიული კატასტროფა. საქართველოსთვის საშიშია ეს ბაცილა, ჩვენ სხვა ხალხი ვართ... მსგავსი ტენდენცია შეიძლება განვითარდეს ისეთ ერში, სადაც ერთ ენაზე ლაპარაკობენ... საქართველო მრავალკულტურული ქვეყანაა, განსხვავებულობათა ჯამია. საქართველო არის ქვეყანა, სადაც კახეთში და გურიაში უმაღლეს დონეზე მღერიან, ოღონდ ეს სიმღერის ორი სხვადასხვა კონცეფციაა. მე იმის თქმა მინდა, რომ ეს სიმდიდრე უძვირფასესია. ამიტომ ჩვენ გვჭირდება: მემარცხენეები, მემარჯვენეები, ლიბერალები... მაგრამ ჩვენ არ გვჭირდება უკიდურესი მემარცხენეები — კომუნისტები და უკიდურესი მემარჯვენეები — ფაშისტები. სააკაშვილი უკიდურესად მარჯვნივ გადაიხარა და ხალხს ეს მოეწონა.

...ჩვენ ვთქვით, ავირჩიოთ გონიერი ხელისუფლება, რამაც ზოგიერთი გაალიზიანა — როგორ, თქვენ ხართ გონიერები და ჩვენ სულელებიო?! დიახ, სულელია ყველა, ვინც აირჩია სააკაშვილი. ისე, პოლიტიკაში სისულელე არ არის თანდაყოლილი თვისება — დღეს სულელი ხარ, ხვალ — ჭკვიანი, შეცდომას ყველა უშვებს, მათ შორის, ჩვენც — ხალხი. ის, რომ რუსები ჩვენზე მეტ შეცდომებს უშვებენ, ჩვენ არ გვამართლებს, ეს მსოფლიოს პრობლემაა და მსოფლიო როგორმე თავის თავს მოუვლის. ჩვენ რა გვეშველება?! რა ვუთხრათ ჩვენს დევნილებს?! „ანტიკრიზისული საბჭო შევქმნათ და მე ვიქნები იმ საბჭოშიო...“ შენ ხარ კრიზისი და პრობლემა, უბედურება, ტრაგედია მთელი ქართველი ერის!.. სააკაშვილს ღირსებად მიაჩნია ის, რომ გრძელი დაიბადა, გვახსოვს მის მიერ პუტინის მისამართით ნასროლი „რეპლიკები“.. „სიგრძე“ თუ რამეს წყვეტს, მაშინ მოვიყვანოთ რომელიმე კალათბურთელი და აგვაყვავებს. ეს ღრმად შემცდარი იდეოლოგიაა, ჩვენ ყველა შევცდით, თუმცა ჯერ კიდევ არ არის გვიან, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სააკაშვილი წავიდეს და, საერთოდ, უნდა გაუქმდეს პრეზიდენტობის ინსტიტუტი.

... თქვენს გაზეთს სწორი სახელი ჰქვია, რას ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკა?! მე ვარ რესპუბლიკური პარტიის წევრი, რომელიც არის საპარლამენტო რესპუბლიკური მმართველობის მომხრე. ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყანას პრეზიდენტი არ ეყოლება, უბრალოდ მას აირჩევს პარლამენტი. პრეზიდენტი არ იქნება ერთპიროვნული მმართველი. გადაწყვეტილებებს პარლამენტი მიიღებს, კონსენსუსის გზით.

ამ ხელისუფლების პირობებში ეს შეუძლებელია. სააკაშვილს ვერ წარმოუდგენია ისეთი საქართველო, სადაც ის არ იქნება პირველი პირი. ის არ არის დათმობებზე წამსვლელი, პირიქით, გამოდის და თვალსა და ხელს შუა გვატყუებს — რუსეთთან ომი მოვიგეთო. იგივეს ამბობენ მისი თანაგუნდელებიც, მაგალითად, კობა ხაბაზმა „დაგვაიმედა“: აფხაზეთსა და სამაჩაბლოს კი არა, სოჭის დაბრუნების შანსიც გაგვიჩნდაო. შე კაცო, ორმოში ხარ ჩავარდნილი და მთელი მსოფლიო თოკებს გესვრის, იქნებ როგორმე ამოგათრიონ, შენ კი ამბობ, ომი მოვიგეთო!.. მართალია, თვითონ ინტელექტუალად მოაქვს თავი, მაგრამ ერთი ვინმე ფსიქოლოგი მივიდეს და ტესტი ჩაუტაროს, მაშინ გამოჩნდება რა ინტელექტუალიც არის... საერთოდ, ჩვენში დებილებმა დაიჯერეს, ჭკვიანები ვართო, მოღალატეები გმირებად შერაცხეს. ეს ეხება იგივე „პადოშას“ და ცაგარეიშვილს, რომელმაც გაერთიანებული ოპოზიციის სხდომაზე განაცხადა: „მე მაინც შევიპარები პარლამენტში“. სამწუხაროა, ტრაგედიაა, რომ დღეს ამათ ხელშია ქვეყანა, სამწუხაროა, რომ დღეს მიხეილ სააკაშვილი საქართველოს „პასპორტია“.

... ჩვენ მოვითხოვთ ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. არ ვაპირებთ მიტინგებს და გზების გადაკეტვას, უბრალოდ უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები, უცხოელი დამკვირვებლების მკაცრი კონტროლის ქვეშ.

**— უცხოელი დამკვირვებლები იმის თავდები იქნებიან, რომ ხელისუფლება ხალხს არ მოისყიდის და ისევ გაყალბებულ არჩევნებს არ მივიღებთ?**

— ჩვენ სწორედ ამისთვის ვიბრძვით. თუ უცხოეთი, ვთქვათ, მილიარდს გვთავაზობს, ჩვენ ვეუბნებით — ამ მილიარდიდან ნახევარი თქვენივე ექსპერტებს გადაუხადეთ და ნორმალური არჩევნები ჩაგვატარებინეთ. მათ ეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გააკეთეს. სხვა გამოსავალი ჩვენ არ გვაქვს, ჩვენ თვითონ სამართლიან არჩევნებს ვერ ჩავატარებთ და რომც ჩავატაროთ, მაინც არ გვიჯერებენ, იმდენად გაირყვნა საქართველო დემოკრატიის გზაზე. აქციები და მიტინგები, როგორც გითხარით, კარგს ვერაფერს მოგვიტანს, ხელისუფლება ისევ ძალას გამოიყენებს და სისხლი დაიღვრება.

**— კი მაგრამ, ნუთუ ვერ აცნობიერებენ, რომ ძალის გამოყენება მათი მხრიდან პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნება?**

— მერე რა, თქვენ გგონიათ ჩაუშესკუ სააკაშვილზე უჭკუო იყო?! რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ჩაიდინა პოლიტიკური თვითმკვლელობა. არ მინდა აქაც იგივე განმეორდეს, მიშა არ არის ჩაუშესკუ.

**— სხეფერის ჩამოსვლაზე რას იტყვით? როგორც ნაცმოძრაობაში ამბობენ, ხომ არ ნიშნავდა ეს იმას, რომ დეკემბერში მაპი თითქმის გარანტირებული გვაქვს?**

— არავითარ შემთხვევაში, მაპის მიღების შანსი ამ ეტაპზე ნულის ტოლია. სხეფერმა პირდაპირ თქვა, რომ გადაწყვეტილება, რომელიმე ქვეყნისთვის მაპის მინიჭების თაობაზე, მიიღება კონსენსუსის გზით. მან ისიც აღნიშნა, რომ ნატოს წევრი, თუ არ მეშლება, თოთხმეტი ქვეყანა მხარს არ უჭერს საქართველოსთვის მაპის მინიჭებას. თუ საქართველო დეკემბრამდე დემოკრატიული განვითარების რეკორდებს მოხსნის, ეს არ ვიცი, მაგრამ როგორ მოხსნის, როცა აჭარის არჩევნებში ოპოზიცია არ მონაწილეობს. არ მონაწილეობს იმიტომ, რომ აზრი არა აქვს. ხელისუფლებას არც ხალხი ენდობა. ან როგორ შეიძლება ენდოს, როცა ტელევიზიით აცხადებენ, გავიმარჯვეთო და „შიდა სამზარეულოში“ გაქცევის გეგმას აწყობენ. ეს ეხება, პირველ რიგში, უგულავას, რომელიც დაბომბვების დროს სახლში რეკავდა — ჩემოდნები ჩაალაგეთ, „ეს“ გარბის და ჩვენც უნდა წავიდეთო. ეს ეხება იგივე აქიშბაიას, რომელიც მაშინ, როცა კოდორი იბომბებოდა, სარფში აღმოჩნდა... რა უნდოდა სარფში?! აი, რამდენი კითხვა დაგროვდა და მათ გონიათ, ხალხი პასუხს არ მოითხოვს.

იხ. 4 გვ.

◉ გულისთქმა

# სააკაშვილი უნდა წავიდეს?

**ასე ბრძანა რუსის მეფემ და ნამდვილად კარგიც იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ რუსისთვის. ჩემს სამშობლოში კი ისევ დაბრუნდებიან მექრთამეები და „კანონიერი“ თუ უკანონო ქურდები, აეროპორტებში ჩემი დაბრუნების მოლოდინში ჩასაფრებული მებაჟეები — რა წავძარცვოთო, ამავე ზრახვებით დანგრეულ და დაბნელებულ ქუჩებში დამდგარი დიდმუცლიანი ავტოინსპექტორები და კიდევ ბევრი სხვა უბედურება და საძაგლობა.**

ეს მინდა? ბოლო 15 წელი ასეთი დანგრეული სამშობლო მქონდა — არ მეყო? მხოლოდ ბოლო ერთი წელია რაც დავიჯერე, რომ შეიძლება ყველაფერი უკეთესობისკენ წავიდეს, ბოლო ერთი წელია რაც დავინახე, რომ მანქანები მომრავლებულა, სახლები აშენებულა, გზები გაკეთებულა, ხალხი გაღიმებულა და ისეთი შეგრძნება შემექმნა, თითქოს ქვეყანა ქეიფისათვის ემზადებოდა.

ნამდვილად ამის დაკარგვა არ მინდა და თანახმა ვარ ერთხელ კიდევ ვიომო, ვიომო, მაგრამ ცოტა მოგვიანებით, როცა ფეხზე დავდგები. ნამდვილად მოვესწრები იმ დროს, როცა ჩვენს უმრავლესობას ექნება იმის სახსრები, რომ ჯიპები და ოპტიკურსამიზნიანი კარაბინები ვიყიდოთ და ყველამ დიდიან-პატარიანად შევძლოთ სამშობლოს დაცვა და არმიის გვერდით ამოდგომა.

სულ დავივიწყებდი აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, დავივიწყებდი მანამ, სანამ ფეხზე არ დავდგებოდი. ამასობაში ვინ იცის რა მოხდებოდა?! მტერი მუდამ ასე ძლიერი ხომ არ იყო? მას ხომ უამრავი თავისი სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი აქვს? იქნებ გაუჭირდეს და წელშიც გატყდეს?

სულ 10 წლის წინათ ლატაკი იყო, თითქმის დანგრევის პირზე მისული. მის ერთ-ერთ „სამხრეთელ ოსებს“ — ბაშკირებს იმ დროს თავისი მეზობელი თათრების და საყვარელი რუსების მიმართ ასეთი გამოთქმაც კი ჰქონდათ — всех татаръ в казань, а руссских в рязань". ის ბაშკირები, თათრები, ჩეჩნები და სხვა მრავალი მისი „სამხრეთელი ოსები“ არსად არ წასულან და არც მათი მსოფლმხედველობა შეცვლილა. მაშინ რუსები კომუნისტებისგან დარჩენილმა „ტრუბამ“ გადაარჩინა, მაგრამ ვინ იცის რა იქნება ხვალ?!

იცით, რამდენი ეშელონი ნავთობპროდუქტებია გაგზავნილი ბაშკირეთიდან და თათრეთიდან დუდაევისა და მასხადოვის არმიის მოსახმარად? ალბათ დედამიწას ორჯერ დაარტყამდა რკალს, ეს მაშინ როცა რუსეთი თავად ეომებოდა ჩეჩნებს. ბაშკირებსა და თათრებს დღესაც ის პრეზიდენტები ჰყავთ, იგივე რახიმოვები და შაიმიევები და იქ იგივე ხალხი ცხოვრობს, რომლებიც რუსის ორთავიან არწივს გაპუტულ ქათამს ეძახდნენ. ახლა კი გაჩუმებული არიან და შეშინებულნი თავის დღეს უცდიან.

ჰოდა, მეც მოვუცდი, ვეცდები ქვეყანა ფეხზე დავაყენო, ჯიპი ვიყიდო, შიგ ოპტიკურსამიზნიანი კარაბინი და ორი-სამი ბოთლი „მოლოტოვის კოქტეილი“ ჩავდო და მერე? მერე ვნახოთ, თუ დაემთხვევა ჩემი აზრები იმისას, ვინც ჩემი ბჭობის დროს ხშირად იცინის.

მახსენდება ომი 1990-იან წლებში ყოფილ იუგოსლავიაში. ქვეყანამ დაშლა დაიწყო, უფრო სწორად დაიშალა და სერბეთმა — მათ შორის ყველაზე დიდმა და ძლიერმა, ყველას დასჯა გადაწყვიტა, ვინც კი გაქცევა გაბედა. ანადგურებდა ბოსნიას, აწყობდა „სრებრენიცებს“, უგებდა ომს ხორვატიას, რომლის ერთ რეგიონშიც კომპაქტურად სერბები ცხოვრობდნენ. ჰოდა, ესენიც სხვის ხარჯზე კოკოითივით გადიდგულდნენ და თავისი დამოუკიდებელი რესპუბლიკა „სერბსკა კრაინა“ გამოაცხადეს. უჭირდა ხორვატიას, ახალშექმნილი ქვეყანა იყო, ძლივს ფეხზე დგებოდა, ითმენდა, სად ჰქონდა სერბებთან ჭიდილის თავი.

გენიოსი იყო მეფე სოლომონი, როცა ამბობდა — „ესეც წარმავალიაო“ და იცით რა მოხდა? ერთ მშვენიერ დღეს, რამდენიმე წლის შემდეგ მომძლავრებული და ფეხზე დამდგარი ხორვატიის არმია პრეზიდენტ ტუჯმანის ბრძანებით თავს დაესხა „სერბსკა კრაინას“ და 10 დღეში გააძევა ორასი ათასი სერბი — „წაბრძანდით და გაიხარეთ თქვენს სერბეთშიო!“.

სოჭიც ადრე საქართველო იყო, ძალიან ჰგავს აფხაზეთს, აკი მისი გაგრძელებაა! ვერ დაგპირდებით, რომ რუსებს სოჭს წავართმევთ, მაგრამ თუ კი გაუხარდებათ და ასე ძალიან უნდათ, აფხაზებს ნამდვილად მივეხმარებოდი იქ სამუდამოდ გადასახლებაში. არც იმის წინააღმდეგი ვიქნებოდი, თუ ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლებული სამხრეთ ოსები თავის წილ ბედნიერებას დიდი რუსეთის იმპერიის ფარგლებში ნახავდნენ, პირიქით მივესალმებოდი კიდეც კოკოითის ასეთ გაბედნიერებას. მე კიდევ კარაბინი სანადიროდ გამომადგებოდა.

დავდგებით, ხალხო, ფეხზე დავდგებით! ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული, ჩვენთვისაც მოვა გენერალ ტუჯმანის დრო და მიუხედავად იმისა, რომ ყმაწვილი არა ვარ, სიამოვნებით წავიდოდი ჩემი ჯიპით და კარაბინით სამაჩაბლოში.

ეს დრო აუცილებლად მოვა, მე თუ ვერ მოვესწარი, მოესწრებიან ჩემი შვილიშვილები და შვილთაშვილები, მოესწრება ქართველი ერი ადრე თუ გვიან, როცა არ უნდა იყოს!!! ასეთ შეურაცხყოფას ვერავის ვაპატიებთ, და თუ სოლომონის ბრძენობა მახსოვს, ცხადია, ჩემი ხალხის სიბრძნეც არასოდეს დამავიწყდება:

**სამშობლოს არვის წავართმევთ,**
**ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,**
**თორემ ისეთ დღეს დავაყრით,**
**მკვდარსაც კი გაეცინება.**

**თემურ კილაძე,**
**ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**
**ქ. ოზურგეთი, 16.08.08**

ომის შემდეგ

***აგვისტოს ომმა საქართველოში, რომელმაც დემოკრატიის ტალღაზე გაწოლილი მსოფლიო ნამიწისძვრალ ოკეანესავით შეაქანა, ჯერაც ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა. უამრავი ადამიანისთვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, გამოუცნობ განტოლებად დარჩა ომის დამწყები სუბიექტის ვინაობა. ამიტომაც ითავეს საერთაშორისო ავტორიტეტულმა ინსტიტუტებმა საქართველოში ასობით დამკვირვებლის გამოგზავნა, რათა უშუალოდ კონფლიქტის ზონაში შესწავლილი ფაქტების საფუძველზე დაიდოს ეჭვშეუტანელი დასკვნა, ბოლოს და ბოლოს გაირკვეს, რომელია ამ უთავბოლო ომის ავტორი — ქარიზმატული თბილისი თუ აგრესიული მოსკოვი?***

# რუსეთის ეკონომიკა ინგრევა, საქართველოსი — შენდებაო!

## მიშა დევნილებს ძროხებსაც კი დაჰპირდა

ამის დასადგენად, როგორც ჩანს, ლოდინი დაგვჭირდება. მეტი რა გზა გვაქვს, უნდა მოვითმინოთ, ვიდრე ჭეშმარიტება არ დადგინდება. სულ სხვა საქმეა ომში გამარჯვებულის გამოვლენა. არც ამის გაკეთება გახლავთ იოლი, მაგრამ საამისოდ საერთაშორისო დამკვირვებლების მოწვევა ალბათ არ დაგვჭირდება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ცეცხლის შეწყვეტისთანავე უკვე აღიარა რუს ოკუპანტებთან უთანასწორო ბრძოლაში ქართველი ხალხის გაუგონარი გამარჯვება. მართალია ჩვენ დროებით დავკარგეთ (ზოგს ჰგონია, სამუდამოდაცძ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, მაგამ ამის მიუხედავად, არ დავმარცხებულვართ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას მოსწრებულად შენიშნა, „მტრისთვის ზურგი არ გვიჩვენებია“ (ეტყობა, ცხინვალიდან „ზადნი ხოდით“ გამოვედითძ და ის ვერც როდისმე ეღირსება ჩვენი ზურგის ხილვას. მორჩა, საქართველო აღარასოდეს დაიჩოქებს! — დასძინა მიხეილ სააკაშვილმა.

ასეა, რაც უნდა ალოგიკურად მოეჩვენოს ვინმეს, იმპერიული ამბიციებით შეპყრობილ მონსტრთან ბრძოლაში პატარა, მაგრამ დემოკრატიული ღირებულებებით დახუნძლულმა, ერთ მუშტად შეკრულმა საქართველომ გაიმარჯვა. ვინ დამარცხდა? ასეთი კითხვა აღარც ისმის. რა თქმა უნდა, დამარცხდა რუსეთი, რომელსაც, როგორც აგრესორს, პირველად წილაბი ჩვენ, ქართველებმა ჩამოვხადეთ. ის მსოფლიოს თვალში დამარცხდა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. რა დასამალია, რუსეთს ომის შედეგად მიყენებული ზარალის გამო, ლამის ეკონომიკა თავზე ჩამოექცეს. თავად პრეზიდენტი მედვედევიც აღიარებს, რომ „სამხრეთ ოსეთში მიმდინარე ტრაგიკულმა მოვლენებულმა გაართულა ისედაც რთული მდგომარეობა ფინანსურ და სხვა ბაზრებზე“. როგორც უცხოური პრესა იუწყება, ამ დღეებში რუსეთის ფასიანი ქაღალდების ნიშნულმა ბოლო 10 წლის მანძილზე ყველაზე დაბალი დონე აჩვენა. მარტო „გაზპრომის“ ფასიანი ქაღალდები 18 პროცენტით გაუფასურდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსეთის საფონდო ბირჟამ მუშაობა საერთოდ შეწყვიტა, ქვეყნის საბანკო სისტემა კი დანგრევის ზღვარზე აღმოჩნდა.

რუსეთს შემორჩა ერთადერთი სერიოზული ეკონომიკური ბერკეტი ენერგორესურსების სახით, რომლითაც ზემოქმედებს ევროპაზე. ამას იყენებს კიდეც მეზობელ ქვეყნებზე ზეწოლისათვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პრეზიდენტ ბუშის გაუგებარი პოლიტიკის გამო ერაყში ნავთობის ფასი გაათმაგდა. რუსეთმა ამით ისარგებლა. ყველა საგარეო ვალი ფაქტობრივად დაფარა და მსოფლიო ენერგობაზარზე ჰეგემონობის ამბიცია გაუჩნდა. ამიტომაც დაადგა ქორივით თვალი საქართველოში გამავალ ნავთობისა და გაზის მილსადენებს და მისგან ჩვენი ეკონომიკის იზოლაცია გადაწყვიტა. დღეს ყველა ხვდება, რომ საქართველოში სწორედ ეს გლობალური გეოპოლიტიკური ინტერესები დაეჯახა ერთმანეთს და ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდებოდა ხელისუფლების გონიერება, სიფრთხილე და სიდარბაისლე, რაც, სამწუხაროდ, მას არ აღმოაჩნდა.

სამაგიეროდ ხელისუფლებას აღმოაჩნდა იმის უნარი და გამბედაობა, გვეტრაბახოს და გვებაქიბუქოს — მართალია ომი წავაგეთ, ტერიტორიებიც დავკარგეთ, მაგრამ გამარჯვებულები მაინც ჩვენა ვართო. ეტყობა, პრეზიდენტს მოერიდა, პარლამენტში გამოსვლისას, გამარჯვებით აღფრთოვანებულ „ნაცებს“ ვნებააშლილი ოვაციებით ჭერი არ ჩამოეგრიათ და ომით გამოწვეული წარმატების ტემბრი ოდნავ შეარბილა — არ იფიქროთ, რომ საბოლოო გამარჯვებას უკვე მივაღწიეთ, ჩვენ ახლა ამ გამარჯვების მხოლოდ პირველ ეტაპზე ვართ, მაგრამ იმედი მაქვს, მთავრობისა და ხალხის ერთიანობა ყველა დაბრკოლებას გადაგვალახინებსო. მიხეილ სააკაშვილს არ დაუმალავს, რომ იმ ეკონომიკური დონის აღსადგენად, რაც ომამდე გვქონდა, ქვეყანას სულ მცირე 18 თვე მაინც დასჭირდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიღარიბის დაძლევის 50-თვიანი მთავრობისეული პროგრამა ჩაიშლება. არავითარ შემთხვევაში, ცალკეული პუნქტების შესრულების ვადამ შეიძლება გადაიწიოს, მაგრამ პროგრამა მთლიანობაში დადგენილ დროში მაინც შესრულდებაო, აღუთქვა ხალხს პრეზიდენტმა. მას არ დაუკონკრეტებია, ხელისუფლება რა გზებითა და საშუალებებით აპირებს ჩანაფიქრის რეალიზებას, თუმცა სააკაშვილი თავის ადრინდელ გამოსვლებში დევნილებს მშობლიურ ადგილებში დაბრუნებას, დანგრეული სახლების ნაცვლად ახლის აშენებას და ძროხებსაც კი შეჰპირდა...

როგორც ყოველთვის ამჯერადაც ორიგინალობით გამოირჩევა საქართველოს ეკონომიკის აღმშენებლის (თუ დამაქცევრის?ძ კახა ბენდუქიძის პოზიცია, რომლის ცინცხალ აზროვნებას ომის მძიმე პიროებებშიც კი მისხალიც არ მოუკლებია. მისი აზრით, ომით მიყენებული ზარალი ვერაფერს დააკლებს ქვეყნის ეკონომიკას, რადგან მსგავსი საფრთხისათვის თურმე კარგა ხანია ვემზადებოდით (თუ მზად ვიყავით, ორ დღეში როგორღა დავმარცხდით?ძ. ის ხარჯი, რაც საომარმა ქმედებებმა გამოიწვია (ტყეების დაწვა, ზღვაში ნავთობპროდუქტების ჩაღვრა,კერძო საკუთრების, მათ შორის საცხოვრებელი სახლების განადგურება, გზების დაზიანება და ა.შ.ძ, ბიუჯეტით იყო გაწერილი. ეს დაახლოებით მილიარდი დოლარია, ამბობს ბატონი კახა და იმ ქვეყნისთვის, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი 13 მილიარდ დოლარზე მეტია, ცხადია, აუნაზღაურებელი დანაკარგი სულაც არ არის.

დანახარჯი იქით იყოს, მაგრამ რას ვეუბნებით ინვესტორებს, რომლებსაც არასტაბილური გარემო ყველაზე მეტად აფრთხობთ? ჩარჩობაში გაწაფულ სახელმწიფო მოხელეს დამაიმედებელი პასუხი ამ საკითხებზეც გააჩნია. შესაძლოა გაგიკვირეთ კიდეც, აცხადებს ის პრესისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში, მაგრამ ვითარება, რომელიც ახლა გვაქვს, ბევრად უფრო მდგრადია, ვიდრე აქამდე იყო. მანამდე არსებობდა პოტენციური საფრთხე, რომ რუსეთი დაიწყებდა აგრესიას. დღეს ეს საფრთხე უკვე რეალიზებულია, საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა აღარ დაუშვებს მის წინააღმდეგ ახალ აგრესიას. სწორედ ამიტომ არის ვითარება დღეს ბევრად უფრო სტაბილური, — გვამშვიდებს ჩვენც და ინვესტორებსაც კახა ბენდუქიძე.



რაც მართალია, მართალია, ქვეყნისათვის ამ საბედისწერო ჟამს, ძნელია საქართველოში მოძებნო მეორე კაცი, რომელსაც თავი მსგავსი „სიბრძნით“ ექნება დამძიმებული. აი, ლევან გაჩეჩილაძეს კი „გაერთიანებული ოპოზიციიდან“, მიაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკა და ბიზნესი დღეს დიდ გასაჭირშია. ხალხს კომპანიებიდან ითხოვენ იმიტომ, რომ შემოსავალი აღარ არის. იმ ხალხს ითხოვენ სამსახურიდან, ვისაც ბანკში კრედიტები აქვს აღებული. გადახდისუუნარო კომპანიებს ყადაღას ადებს საგადასახადო, ხელისუფლება კლავს გადამხდელს. მთავრობა გრანტებისა და მილიარდიანი დახმარებების მოლოდინში უაზრო ლაქლაქს უნდება, ხალხი კი ამასობაში სულ უფრო ღატაკდება. არ ჩანს კონკრეტული ნაბიჯები, საქმიანი ღონისძიებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს.

თუმცა არც იმის დავიწყება შეიძლება, რაც მსოფლიომ საქართველოს ეკონომიკური კატასტროფისგან თავის დასაღწევად შესთავაზა. საერთაშორისო თანამეგობრობა მზად არის იმ ავანტიურისთვის, რომელშიც რუსებმა ჩაგვითრიეს (თუ ჩვენ ჩავითრიეთ რუსეთიძ, საქართველოს ძალიან დიდი თანხით დაეხმაროს. პრეზიდენტის განმარტებით, რომელიც მან ბიზნესმენებთან შეხვედრაზე გააკეთა, ეს თანხა უახლოეს წელიწადნახევარში 3 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ეკონომიკის ექსპერტთა აზრით, არის იმის პერსპექტივა, რომ თუკი ხელისუფლება გონივრულად გაირჯება, ომიდან ქვეყანა ეკონომიკურად უფრო ძლიერი გამოვიდეს. და იმის პერსპექტივაც, რომ ხელისუფლებამ ტრადიციას არ უღალატოს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ქვეყნების დახმარება საკუთარი თავის დასახმარებლად გამოიყენოს, ქვეყანა და ხალხი კი კვლავ სიღატაკეს შეატოვოს.

მაგრამ არსებობს კიდევ სხვა პერსპექტივაც — ამჟამინდელ ხელისუფლებას როტაციამ უწიოს და ომში დამარცხების შედეგებით ტკბობის სიამოვნება არ დასცალდეს. დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი პერსპექტივაც არსებობს!

**ოთარ ხუციშვილი**

რადიკალური ოპოზიცია

# „სამწუხაროა, რომ დღეს სააკაშვილი საქართველოს პასპორტია“

(მესამე გვერდიდან)

**— დასაწყისში თქვენ თქვით, რომ ჩვენს ხელისუფლებას სურდა ომი. ნუთუ არ იცოდნენ, რომ რუსეთთან პრობლემების ომით მოგვარება შეუძლებელია?**

— სააკაშვილის თითოეული პოლიტიკური ნაბიჯი შეცდომა იყო. მათ შორის ყველაზე დიდი შეცდომა ბენდუქიძის მინისტრად დანიშვნა იყო, რომელიც რუსეთის აგენტია. ეს ჩემი მიგნება არ არის, ეს ცნობილი ფაქტია, იმ „ბრძენი“ ადამიანების „დამსახურებაა“, საპარლამენტო უმრავლესობაში რომ არიან და ენა რომ არ უჩერდებათ. ერთ-ერთი ასეთი „გენიოსია“ ელდარ კვერნაძე, რომელსაც ოპოზიციასთან ენის ჭარტალში ბადალი არ ჰყავს.

ხელისუფლების შეცდომაა, უფრო სწორედ, სამხედრო დანაშაული იყო ახალგორის უომრად დათმობაც. ახალგორი ხომ არასოდეს შედიოდა კონფლიქტის ზონაში?! იმისთვის, რომ სანაკოევისთვის გარკვეული ლეგიტიმაცია მიენიჭებინა, სააკაშვილმა გამოაცხადა, რომ ახალგორიც სამაჩაბლოს ნაწილია. სეპარატისტებმა, ბუნებრივია, ეს თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს და შედეგიც მივიღეთ...

**— ქართველ პოლიტიკოსთა ქარტიას თუ უერთდებით?**

— არ ვუერთდებით და აი, რატომ: ამ ქარტიას ხელს აწერენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არ მიგვაჩნია პოლიტიკოსებად. მაგალითად: ჯონდი ბაღათურია, გიორგი თარგამაძე, გია ცაგარეიშვილი, გია თორთლაძე და სხვები, რაც შეეხება სხვა პარტიების დოკუმენტებს, მათ ჯერ არ ვიცნობთ, ჯერჯერობით ჩვენ ვაკეთებთ ჩვენს ანალიზს და იქმნება ჩვენი დოკუმენტი.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

ინფორმაცია

## დამოუკიდებლობა მიანიჭეს, მაგრამ რუკაზე ვერ მოხვდებიან

**რუსეთი მსოფლიო რუკაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღნიშვნის მოთხოვნას არ აპირებს. ამის შესახებ სააგენტო „რეგნუმი“ იუწყება.**

**სააგენტოს ინფორმირებული წყაროს განცხადებით, რუსული მხარე არ აპირებს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელობის აღიარების კარტოგრაფიული და ტოპონიმური ასახვის საკითხი დააყენოს დსთ-ს ქვეყნების გეოდეზიის, კარტოგრაფიისა და კადასტრის საბჭოს სესიაზე, რომელიც ლვოვსა და მუკაჩევოში გუშინ გაიხსნა.**

**— რუსეთის მიერ ამ ორი რესპუბლიკის აღიარების შედეგად მსოფლიო რუკაზე ორი ახალი სახელმწიფოს აღნიშვნასთან დაკავშირებით გარკვეული კოლიზიები მაინც არსებობს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში დსთ-ში ამ საკითხს რუსეთის გარდა ვერავინ დააყენებს, — განაცხადა სააგენტოს წყარომ.**

ინტერპრესნიუსი

ადამიანი დროში

# ახალგაზრდული შემართებით დამუხტული სიჭარმაგე



**არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით, საქმისადმი ერთგულებით, პატიოსნებით, ჯანსაღი ცხოვრების წესით, სამშობლოსა და ხალხის ერთგულებით ნათელ მაგალითს აძლევენ მომავალ თაობებს. ასეთ ადამიანთა კოჰორტაშია თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი და პედაგოგი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ამირან სარდიონის ძე ჯიბუტი, რომელსაც ამ დღეებში დაბადებიდან მეოთხმოცე წელი შეუსრულდა.**

ბატონი ამირანი აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას ამჟამადაც ისეთივე შემართებით, ახალგაზრდული ენერგიითა და უდიდესი პასუხისმგებლობით ეწევა, როგორც ამას აკეთებდა მრავალი წლის განმავლობაში. მისთვის დამახასიათებელია სანიმუშო პროფესიული და მეცნიერულ-პედაგოგიური დონე. მაღალი კულტურის, შესანიშნავი ერუდიციის, გამორჩეული ორატორული ოსტატობისა და ანალიტიკური აზროვნების წყალობით მან დამსახურებულად მოიხვეჭა შესანიშნავი ლექტორისა და პედაგოგის სახელი. იგი ჭეშმარიტად თანამედროვე ტიპის მაღალპროდუქტიული და ღრმად განსწავლული მეცნიერია, რომელშიაც ჰარმონიულად არის შერწყმული მეცნიერ-მკვლევარისა და პედაგოგის მაღალპროფესიული თვისებები.

ამირან ჯიბუტმა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა 1966 წელს, ხოლო ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი - 1989 წელს, პროფესორის წოდება მიენიჭა 1990 წელს.

იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა: ბანკის მმართველად, საშუალო სკოლის დირექტორად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და განყოფილების გამგედ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელწიფო კომიტეტის აგროსამრეწველო გაერთიანებების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის დოცენტად.

ბატონი ამირანი 1990-2006 წ.წ. მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე, მიჰყავდა ლექციების კურსი ეკონომიკურ თეორიაში სხვადასხვა ფაკულტეტზე, აგრეთვე კითხულობდა სპეცკურსებს ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ეკონომიკური თეორიის სპეციალობის ჯგუფებთან.

ბატონი ამირანი ამჟამად მოღვაწეობს თსუ ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის პროგრამის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე და მიჰყავს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის“ და „სახელწიფო ვალის მართვის“ კურსები. იგი 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისი შრომები გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და აქტუალურობით, მაღალი მეცნიერული დონით და პრაქტიკული მნიშვნელობით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მეცნიერულ შესწავლასა და დამუშავებაში, როგორებიცაა: სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია, კონცენტრაცია, სამეურნეობათაშორისო კოოპერაცია და აგროსამრეწველო ინტეგრაცია; აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის პრობლემები და სხვა.

პროფესორი ამირან ჯიბუტი აქტიურად მონაწილეობდა „საქართველოს სსრ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 1980-2000 წ.წ. (ხუთწლედების მიხედვით) კომპლექსური პროგრამების“ შედგენაში, ასევე სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების საწარმოო ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ამირანის უაღრესად დიდი დამსახურება „ეკონომიკური თეორიის“ პირველი ქართული სახელმძღვანელოს (ორტომეულიძ შექმნაში, რომელიც მისი თანარედაქტორობითა და თანაავტორობით 1992 წელს გამოიცა. მას ასევე წვლილი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის გრიფით 1998 წელს გამოცემული „ეკონომიკური თეორიის“ სახელმძღვანელოს შექმნაში. იგი არის ამ სახელმძღვანელოს თანაავტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი. ამ სახელმძღვანელოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოში ახალი ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრება-განვითარებასა და, საერთოდ, ეკონომიკური განათლების დონის შემდგომ ამაღლებაში.

ბატონი ამირანი ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მეცნიერია. მისი მრავალმხრივი ფუნდამენტური გამოკვლევები კარგადაა ცნობილი არა მარტო მეცნიერი ეკონომისტებისთვის, არამედ ეკონომიკური საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის. ეს ნაშრომები შეიცავს მრავალ საყურადღებო მოსაზრებას ეკონომიკური თეორიის, აგრარული ურთიერთობების, ფულის, გადასახადების, სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობის, პრივატიზების, საგარეო და შიდა ვალის უაღრესად აქტუალურ თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ პრობლემებზე.

პროფესორ ამირან ჯიბუტის (თანაავტორობითძ გამოცემულ მონოგრაფიას „საქართველოს სახელმწიფო ვალი“ (თბ., 2003.ძ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემიების მიმნიჭებელი ჟიურის დადგენილებით მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრემია.

ბატონი ამირანი ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ყოველთვის წარმატებით უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი კითხულობდა ლექციებს: 1962-1967წწ. — პოლიტიკური ეკონომიკის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, 1970-1980წწ. — პოლიტიკური ეკონომიკის კურსს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითს ინსტიტუტში, 1983-1989 წ.წ. — პოლიტიკური ეკონომიკის კურსს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და აქტიურად მონაწილეობდა ამ სასწავლებელთა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში. იგი 1973 წელს დაჯილდოვდა საშუალო განათლებისა და უმაღლესი სკოლების სამინისტროს სპეციალური სიგელით — სტუდენტთა შრომების IV საკავშირო კონკურსის პირველ, მეორე და მომდევნო ტურებში მისი ხელმძღვანელობით მომზადებული თემის გამარჯვებისათვის.

ინტენსიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ბატონი ამირანი ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას. განათლების ფრონტზე ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი საქართველოს განათლების სამინისტროს ბრძანებით დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

ბატონი ამირანის მეცნიერულ-პედაგოგიური საქმიანობის დახასიათება არ იქნება სრული, თუ არ შევეხებით მის უაღრესად ნაყოფიერ მოღვაწეობას ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში, რასაც იგი უდიდეს ყურადღებას უთმობს. მისი ხელმძღვანელობით ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მინიჭებული აქვს 15 მეცნიერ-მუშაკს; მისივე ოპონირებით დაცულია 40-ზე მეტი დისერტაცია, მათ შორის 11 სადოქტორო და 29 — საკანდიდატო.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ პროფესორ ამირან ჯიბუტის საოცარი შრომისმოყვარეობა და მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. იგი არასდროს არ თაკილობს ე.წ. „შავ“ სამუშაოს, ყველგან და ყველაფერში არის მაგალითის და ტონის მიმცემი, უაღრესად ინიციატივიანი, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე პიროვნება, როგორც ეს შეშვენის ნამდვილად თანამედროვე ტიპის მეცნიერს.

პროფესორი ამირან ჯიბუტი დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და ივანე ჯავახიშვილის მედლით არჩეულია საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ბატონი ამირანი სანიმუშო მეოჯახეცაა. მისი მეუღლე — ნაისი თავაძე — პედაგოგი (უცხო ენების სპეციალისტიძ, ამჟამად პენსიონერია; ჰყავს ორი შვილი: მამუკა (მედიცინის დოქტორიძ — საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი და ხათუნა (ქიმიკოსიძ; აგრეთვე ოთხი შვილიშვილი — გიორგი და ლევან ბუილიშვილები და ამირან (აკაძ და დათი ჯიბუტები.

შესანიშნავია, როცა ქვეყანას ჰყავს ისეთი ღვაწლმოსილი მოქალაქე და მამულიშვილი, როგორიც ბატონი ამირანია. გულითადად ვულოცავთ საიუბილეო თარიღს ჭეშმარიტად ღირსეულ მეცნიერს, პედაგოგსა და მოქალაქეს, ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებასა და შემდგომ შემოქმედებით გამარჯვებებს.

**გედევან ხელაია,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**
**ავთანდილ სილაგაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**
**მიხეილ ჯიბუტი,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**
**ელგუჯა მექვაბიშვილი,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

მეცნიერება

# მიუხედავად ყველაფრისა...

**დიახ, მიუხედავად ომისა, ნგრევისა, უმძიმესი ვითარებისა, საერთო უხასიათობისა, ქართველმა მათემატიკოსებმა შეძლეს ამ ადრე მონიშნული სიმპოზიუმის მოწყობა — სიმპოზიუმისა, რომელმაც საერთაშორისო სტატუსი დაისვა და შესანიშნავად ჩაიარა.**

„ცვლადმაჩვენებლიანი ანალიზი და მასთან დაკავშირებული საკითხები“ — ასეთი... გახლდათ მისი თემატურობა. მონაწილე ქვეყნები — აზერბაიჯანი, იაპონია, პორტუგალია, საქართველო; წაკითხული მოხსენება — 22, იმათ რიცხვში ქართველ მკვლევართაგან — 13.

სიმპოზიუმი ინტასის გრანტით გაიმართა — ეს არის საერთაშორისო ასოციაცია ევროპაში, რომელიც წლების მანძილზე აფინანსებდა მეცნიერულ კვლევებს ევროკავშირისა და ყოფილი საბჭოების ქვეყნებში. დასანანად, წლევანდელი წლიდან ინტასი წყვეტს ასეთ მხარდაჭერას, ასე რომ, თბილისური ღონისძიება ბოლო აღმოჩნდა ამ თვალსაზრისით.

უნდა ითქვას, რომ 2006 წელს გამოცხადებულ ერთ-ერთ საგრანტო კონკურსში საქართველოსთან ერთად მონაწილეობდნენ აზერბაიჯანი, ფინეთი და პორტუგალია. პირველი წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოს პროექტმა საუკეთესო შეფასება მიიღო და ქართველმა მათემატიკოსებმა უმაღლესი ქულები დაიმსახურეს, სიმპოზიუმის გამართვის უფლების მოპოვებით.

ავადსახსენებელი ომი რომ დაიწყო, ინტასის ფრანგ პროგრამულ მენეჯერს მარტინ ბონინს რამდენჯერმე დაურეკავს თბილისში გამამხნევებელი სატელეფონო ზარით, ყველგან, სადაც საჭიროდ მიუჩნევია, ქართველ მეცნიერთა საქომაგო წერილები დაუგზავნია. რუსეთის აგრესიით აღშფოთებული იაპონელი მათემატიკოსებიც რეკავდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ თურმე შეკრების მაინც ჩატარებას.

ჩატარდა კიდევაც თბილისში, სექტემბერში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შენობაში, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ყოველმხრივი ხელშეწყობით. ჩატარდა ერთობ მაღალ დონეზე, არც ერთ სხვა და სხვაგან შემდგარ საერთაშორისო სიმპოზიუმს რომ ტოლს არ დაუდებდა, ისე. ეს გახლავთ უცხოელ მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი, ასევე ერთსულოვნად რომ იყვნენ შეწუხებული და აღშფოთებული ჩრდილოელი ოკუპანტების სისასტიკით.

მერე კი, როცა სიმპოზიუმის დამაგვირგვინებელ აკორდად გერგეთზე მონაწილეთა ასვლა „გაისმა“, როცა ცა გადაიწმინდა და „დიდებული რამ არის ეგ მყინვარი“ გამოაჩინა, აღფრთოვანებაც ერთსულოვანი გამხდარა.

**თამაზ ებანოიძე**



◎ კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვენ

# მწარე სიმართლე

## დაგვიანებული წერილი საქართველოს მეორე ანუ გულახდილი საუბარი იმაზე,



**ნაპოლეონ მესხია**

**ცნობილი ნეიროქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დასავლეთ საქართველოში (ქ. სოხუმი) ნეიროქირურგიული ცენტრის დამფუძნებელი (შემოთავაზებული აქვს ნეიროქირურგიული ჩარევისა და მკურნალობის არაერთი ახალი მეთოდი), აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.**

ბატონო ედუარდ,

ეს წერილი დაიწერა ცხელ გულზე, აფხაზეთის დაკარგვისა და იქიდან ასიათასობით მკვიდრი მოსახლეობის გამოდევნის შემდეგ, მაგრამ მაშინვე თაროზე აღმოჩნდა. რა აზრი ჰქონდა მის გაგზავნას, როდესაც წინასწარ იყო ცნობილი, რომ ის პასუხს არ ეღირსებოდა. ასე გავიდა წლები. ახლახან ხელში ჩამივარდა (ისიც დაგვიანებით!) თქვენი უკანასკნელი თხზულება – „ფიქრი წარსულსა და მომავალზე". გავეცანი მას და უხერხულობისა და უკმარისობის გრძნობა დამეუფლა: ღმერთო ჩემო, რამდენი, რბილად რომ ვთქვათ, უზუსტობაა შიგ, აქა-იქ კი აშკარა და სრული სიცრუეც. მართლაც რომ უსაზღვროა ადამიანის შესაძლებლობანი! ამ გარემოებამ და, ამასთან ერთად, ბედის ირონიით, ისევ აგვისტოში დატრიალებულმა ტრაგედიამ, და ბოლოს, ამ და სხვა საკითხებზე თქვენმა უწყვეტმა დამოძღვრებებმა, საბოლოოდ გამომიყვანეს მწყობრიდან და მიბიძგეს ჩამომეღო თაროდან 1994 წელს დაწერილი წერილი, ანუ აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებული ფიქრები და მოსაზრებები, მცირე ჩამატებები თუ შესწორებები შემეტანა მასში და ისე გამეცნო თქვენთვის და ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

წერილის მიზანი, რა თქმა უნდა, თქვენი წიგნის რეცენზირება არ არის. ამაში მაინცდამაინც არ ვარ კომპეტენტური. თქვენი წიგნის გაცნობამ, უბრალოდ, ისევ გამიჩინა სურვილი, გესაუბროთ უშუალოდ აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებულ საკითხებზე, იმ შთაბეჭდილებებზე და მოსაზრებებზე, რომლებიც უკვე რამდენი წელია მოსვენებას არ მაძლევს, დაგისვათ კითხვები, რომლებზეც აგერ უკვე რამდენი წელია, პასუხს ვერ ვპოულობ. ამიტომაც მოგმართავთ თქვენ, იქნებ, დამეხმაროთ!

ვიდრე კითხვებზე გადავიდოდე, ნება მიბოძეთ, ძალიან მოკლედ მოგახსენოთ იმაზე, გარდა უკანასკნელი მოვლენებისა, თუ კონკრეტულად რამ გადამაწყვეტინა ამ წერილის დაწერა. ამასთან ერთად, გთხოვთ მომიტევოთ, თუ მოვლენებისა და ფაქტების შეფასებისას მკაცრი და პირუთვნელი ვიქნები. აფხაზეთზე, აფხაზეთის ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებზე და მიღებულ შედეგებზე სხვაგვარად საუბარი შეუძლებელია. მშვიდად ასევე ვერ ვისაუბრებ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ე.წ. მეგრული სეპარატიზმი და, თავის დროზე, თქვენს მიერ კოლხეთში, კერძოდ, სამეგრელოში, „აღმოჩენილი" და პროვინციულად შერაცხული ფაშიზმი. ეს ფაქტი ნებისმიერ ჭეშმარიტ ქართველს მაშინაც ზარავდა და დღესაც არ აძლევს მოსვენებას, ვერ იხსენებს მას აღუშფოთებლად.

მაშ ასე, ბატონო ედუარდ, თქვენ, რა თქმა უნდა, კარგად უწყით, რომ ორი მსოფლიო და უამრავი ლოკალური ომების მომსწრე XX საუკუნეს თითქმის არ ახსოვს (ცხადია, ფაშისტების მიერ მე-2 მსოფლიო ომში კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს არ ვგულისხმობ) მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ესოდენ მასშტაბური და მხეცური სისასტიკის გამოვლენის სხვა მაგალითი, როცა ეთნიკური ნიშნით ამოჟლიტეს და საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად აქციეს 250 ათასზე მეტი ადამიანი. მსოფლიოს მით უფრო არ ახსოვს, რომ ხელისუფლებას საკუთარი, ასე შეურაცხყოფილი და ნატანჯი ხალხის მიმართ გამოეჩინოს მსგავსი ცინიზმი, ისეთი, როგორიც საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინა საკუთარი ხალხის მიმართ აფხაზეთში 1992-1993 წლებში და შემდგომ პერიოდში. ასეთ პირობებში გულგრილობა და დუმილი ღალატის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ მსურს, დაუფარავად მოგახსენოთ მწარე სიმართლე, გაგიზიაროთ ათასობით აფხაზეთიდან დევნილის გულისტკივილი. ამასთანავე, საჭიროდ მიმაჩნია იმის აღიარებაც, რომ არც მაშინ წარმოვადგენდი და არც დღეს წარმოვადგენ რომელიმე ოპოზიციურ დაჯგუფებას. უფრო მეტიც, უნდა გამოგიტყდეთ, რომ სწორედ მე ვიყავი ის ერთადერთი დეპუტატი, რომელიც აფხაზეთის ე.წ. რუსულენოვან მოსახლეობაში პირადად თქვენი და საქართველოს პარლამენტის მხარდამჭერ წინასაარჩევნო კრებებსა და მიტინგებს აწყობდა აფხაზეთში. ვაღიარებ, რომ მაშინ დიდ იმედებს ვამყარებდი თქვენზე!. და არა მარტო მე!...

თქვენთვის, უდავოდ, ცნობილი უნდა იყოს, თუ რა მზაკვრულ გეგმებს ისახავდნენ აფხაზეთში არსებული ანტიქართული წრეები და როგორ იყენებდნენ იმ წრეებს რუსეთის გარკვეული ძალები საქართველოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ. მაგრამ მომხდარი უბედურების მთავარი მიზეზი მაინც სულ სხვა რამ გახლავთ, კერძოდ, ის, რომ ერმა, რომელსაც თქვენისთანა პოლიტიკოსი ედგა სათავეში, ვერაფერი გონივრული ვერ დაუპირისპირა სეპარატისტთა ანტიქართულ იდეოლოგიას და მოახლოებულ საფრთხეს. უფრო მეტიც, 1992 წლის პირველ ნახევარში, მიუხედავად ანტიქართული განწყობების გაძლიერებისა და როგორც აფხაზთა, ისე კონფედერატებისა და მათი მოსკოველი მფარველების მხრიდან აშკარა მუქარისა, თქვენ აფხაზეთი ქართველთა შორის დაპირისპირებისა და თბილი სავარძლებისთვის ბრძოლის არენად აქციეთ. თქვენთვის და ფართო საზოგადოებისთვისაც კარგადაა ცნობილი, თუ ვინ გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტიურობით ამ სამარცხვინო ბრძოლაში, რომელსაც უმძიმესი შედეგები მოჰყვა; რა დესტრუქციულ საქმიანობას ეწეოდნენ ცალკეული ყოფილი საბჭოური მოხელეები და აფხაზეთის ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს წევრები ბატონ ბორის კაკუბავას თავკაცობით. თქვენ ისიც კარგად უნდა უწყოდეთ, რომ, სხვა გარემოებებთან ერთად, რომლებიც უშუალოდ თქვენს სახელთანაა ასოცირებული, აფხაზეთში უგუნური პოლიტიკის წყალობით მიღებული სავალალო შედეგები და ამჟამად არსებული ვითარება როგორც აფხაზეთის ანტიქართული ძალების საქმიანობას, ისე ქართველი ვაიპოლიტიკოსების გაუთავებელ ამბიციებს და ბინძურ პოლიტიკურ თამაშებს მოჰყვა.

მათ არა მხოლოდ არ ეყოთ გონიერება, არამედ, უბრალოდ, ხელს არ აძლევდა სტაბილურობა აფხაზეთში, ვინაიდან მშვიდობიან ვითარებაში პირადი ან ჯგუფური პოლიტიკური თუ კომერციული ინტერესების რეალიზაციას ვერ მოახდენდნენ. ამისთვის დესტაბილიზაცია და არეულობა იყო საჭირო. ამიტომაც ამ ძალებმა შეცდომაში შეგიყვანეს თქვენ (შეგიყვანეს კი?!.), სახელმწიფო საბჭოც და აფხაზეთში ჯარების შეყვანისა და ომის დაწყების საბედისწერო გადაწყვეტილება მიგაღებინეს. ასე და ამგვარად, ამ ვაიპოლიტიკოსების, აფხაზეთის პარლამენტის ზოგიერთი, რბილად რომ არ ვთქვათ, უპასუხისმგებლო, თვითვამოცხადებული დეპუტატისა და ექსტრემისტული წრეების ზნედაცემულ, გონებადახშულ წარმომადგენელთა ამბიციებს შეეწირა ხალხის ბედი და ინტერესები აფხაზეთში და განა მარტო აფხაზეთში?!...

აფხაზეთში ეროვნული ნიშნით დაპირისპირებას, საზოგადოების პოლარიზაციას, ვითარების უკიდურესად დაძაბვას და პოლიტიკურ დესტაბილიზაციას ხელი შეუწყო აგრეთვე დეკემბერ-იანვრის ცნობილმა საბედისწერო მოვლენებმა თბილისში და შემდგომ ბრძოლამ უკანონოდ დამხობილი ხელისუფლების აღსადგენად.

ყოველივე ამაში და აფხაზეთში ომის გაჩაღებაში, მიუხედავად იმისა, აღიარებთ თუ არა, მთელი პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ, რადგანაც საზოგადოებაში არსებულ დაპირისპირებას და მის გაღრმავებას შორიდან ადევნებდით თვალყურს. ერთი შეხედვით, თითქოს არც ერეოდით ამ პროცესებში, მაგრამ სინამდვილეში ფარულ თუ ღია მხარდაჭერას უწევდით იმ ძალებს, რომელთა საქმიანობა პირდაპირ თუ ირიბად აპირობებდა დესტაბილიზაციას. ქვეყანაში მომხდარი არეულობის, სამოქალაქო დესტაბილიზაციის გარეშე თქვენ, უბრალოდ, ვერ შეინარჩუნებდით სავარძელს, თქვენ ამისთვის სულ სხვა მასშტაბისა და ხარისხის დაპირისპირება გჭირდებოდათ: თქვენთვის ეთნოკონფლიქტი იყო საჭირო. სხვაგვარად, სამოქალაქო ომი წაგლეკავდათ თქვენც და თქვენს მომხრეებსაც – მომავალ ავადსახსენებელ „მოქალაქეთა კავშირს"!... არც სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრებს ეყოთ გონიერება, წინდახედულობა და... 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში დაიწყეთ ომი.

ცალკეული პარტიები თუ პოლიტიკოსები, რომლებიც თავის დროზე ხელს უწყობდნენ ან მიესალმებოდნენ თქვენს ჩამობრძანებას საქართველოში, დღეს აცხადებენ, რომ აფხაზეთში ომი გააჩაღეთ თქვენ, რათა განადგურებული და დაჩოქილი საქართველო შეგეყვანათ დსთ-ში; რომ თქვენ ამ მისიით იყავით საგანგებოდ მოვლენილი საქართველოში და ა.შ. ეს ყველაფერი კი, საუბედუროდ, საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული. ამის დასტური იყო თქვენს მიერ 1994 წლის თებერვალში ცნობილ რუს ჟურნალისტ კარაულოვისთვის მიცემულ ინტერვიუში გაცხადებული რეალობა: სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე თქვენი ყოფნაარყოფნის საკითხი თურმე ქართველ ხალხზე, მის პარლამენტზე კი არ ყოფილა დამოკიდებული, არამედ რუსეთზე და, უშუალოდ, მის პრეზიდენტზე – ბორის ელცინზე. რარიგ გულსატკენი და სამარცხვინო იყო მაშინ თქვენს მიერ ამის აღიარება!.. ან კიდევ, საქართველოს ლიდერის რანგში იმავე 1994 წელს გერმანიაში თქვენი პირველი ვიზიტის დროს ღია ეთერში გაკეთებული მინიშნება იმაზე, რომ გენშერის მისალებში თქვენ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს, შემთხვევით, გულმავიწყობით კი არ დაგრჩენიათ საიდუმლო საქაღალდე!. საოცარია, რა სიამაყით და ვალმოხდილი ადამიანის გრძნობით ამბობდით ამას!...

მივუბრუნდეთ ისევ აფხაზეთის ტრაგედიას. საქართველოს იმჟამინდელი მთავრობის ოფიციალური განცხადების თანახმად, ქართული ჯარები აფხაზეთში საგზაო კომუნიკაციების დასაცავად და საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად შევიდნენ... ჯაბა იოსელიანის მტკიცებით კი, მათი მიზანი აფხაზეთში თავშეფარებული ექს-პრეზიდენტის მომხრეების განადგურება იყო...

მე არც ექსპერტი ვარ და არც მსაჯულის პრეტენზია მაქვს, რომ ხსენებული ვერსიების ანალიზს, ომის ჭეშმარიტი, სიღრმისეული მიზეზებისა და მიზნების დადგენას შევუდგე. ამას მიუკერძოებელი და უკომპრომისო ისტორია განსჯის. შესაბამის განაჩენსაც ის გამოიტანს. მე მხოლოდ იმაზე ვისაუბრებ, რაც უბრალო მომაკვდავის გადასახედიდან შეუიარაღებელი თვალითაც მკაფიოდ ჩანს, რაც აფხაზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობამ საკუთარ ზურგზე იწვნია.

აფხაზეთში ომის დაწყებას მიზანმიმართულ „იდეოლოგიურ" სამზადისთან ერთად კოლხური მოსახლეობის მასობრივი დევნა და გენოციდი უძღოდა წინ. ამასთანავე, პარალელურად მასმედიით მიმდინარეობდა ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი და მეტად საშიში კამპანია „მეგრელთა სეპარატიზმის", „პროვინციული ფაშიზმისა" და „აფხაზურ-მეგრული რესპუბლიკის" შექმნის მცდელობის შესახებ. ამ უზნეო პროპაგანდის ავტორებმა სხვებზე უკეთ იცოდნენ, რომ არანაირი სეპარატიზმი, არც იმ მითიური რესპუბლიკის შექმნის გეგმა ბუნებაში არ არსებობდა. მიზანი ერის გახლეჩა და სამეგრელოსთვის დანარჩენი საქართველოს დაპირისპირება იყო. ამ უზნეო პოლიტიკამ კი თავისი შედეგები სწორედ ქვეყნისთვის ყველაზე საბედისწერო ჟამს გამოიღო. მხედრიონისა და გვარდიელების მიერ გადათელილი სამეგრელოს მოსახლეობა აფხაზეთის ომისადმი დამოკიდებულებაში ბევრად უფრო ინერტული აღმოჩნდა, ვიდრე 1989 წლის ივლისის ცნობილი მოვლენების დროს. **სწორედ ის დანაშაულებრივი პოლიტიკა გახდა მიზეზი გალის რაიონისა და, საერთოდ, სამეგრელოს მოსახლეობის (რომელთაც სეპარატისტებად და, ამდენად, მოღალატეებად აცხადებდით!) პასიური დამოკიდებულებისა აფხაზეთის 1992-1993 წწ. სამარცხვინო ომისადმი. ამის არდანახვა და არასწორად ახსნა, შესაბამისად, ტრაგედიის ნამდვილი მიზნებისა და მიზეზების მიჩქმალვა მონანიების ნაცვლად, კიდევ უფრო ამძიმებს თქვენს დანაშაულს.** ამიტომ აფხაზეთში სამარცხვინო დამარცხების მიზეზებს კოლხეთში და კოლხებში კი არ უნდა ეძებდეთ, არამედ საკუთარ თავში, კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და ამის შემდეგ ერის გახლეჩაში, სახელმწიფო პოლიტიკის უსუსურობაში, მთავრობის მიერ წინდაუხედავად გადადგმულ ნაბიჯებში, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ წარმოებულ დანაშაულებრივ პოლიტიკაში.

დაგიჯეროთ, რომ ვინ ვინ, მაგრამ თქვენ არ იცოდით, რომ გაურკვეველი წარმომავლობის ლაშქრისა და კრიმინალური ელემენტებისაგან შემდგარი ჯარის იმედით ომს ვერ იგებენ? მოგეხსენებათ, არც იწყებენ, თუ დამარცხება არ არის წინასწარ დაგეგმილი!. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ არც ომის დაწყებამდე და არც მისი დაწყების შემდეგ ბრძოლისუნარიანი სამხედრო ფორმირებების შექმნა ქვეყნის მთავარსარდალს აზრადაც არ მოგსვლიათ



კითხვები, რომლებიც პასუხს მოითხოვენ

მაშინ, როდესაც აფხაზები, რუსი სპეციალისტების დახმარებით, გამალებით ქმნიდნენ შეიარაღებულ ფორმირებებს და ომისთვის ემზადებოდნენ, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არასაიმედოდ გყავდათ შერაცხილი. ამიტომ ადგილზე ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ არაფერი კეთდებოდა.

მესმოდა, ჩვენც რაღაცა უნდა გვეღონა. ეს აზრი ჩემში უფრო გამყარდა კონსტანტინე ოზგანთან არაერთგზის კონფიდენციალური შეხვედრების შემდეგ. ის არც კი მალავდა, რომ ძალებსა და სახსრებს ჩრდილო კავკასიასა თუ ახლო აღმოსავლეთში ეძებდა შეიარაღებული ძალების შესაქმნელად. ამიტომ კონკრეტული წინადადებებით მივმართე ბატონ თამაზ ნადარეიშვილს, მაგრამ მან წაუყრუა ჩემს წინადადებებს. აფხაზეთის ა/რ შს მინისტრმა გივი ლომინაძემ კი ლაკონიურად მომიჭრა: „არის ჯარი და საჭიროების შემთხვევაში მას შემოვიყვანთ“-ო! ბატონ მინისტრს, რა თქმა უნდა, მხედრიონი და გვარდია ჰყავდა მხედველობაში, ანუ ის ფორმირებები, რომლებიც არბევდნენ და აჩანაგებ-

# – დაუფარავად!..

## პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, თუ როგორ გასხვისდა აფხაზეთი

დნენ მთელ საქართველოს, განსაკუთრებით კი სამეგრელოს, და ახლა მათ აფხაზეთში, შემოსაყვანად ამზადებდნენ, თუმცა თავიდანვე ცნობილი იყო, თუ რა მოჰყვებოდა მათ შემოსვლას. ღრმად ვიყავი დარწმუნებული იმაშიც, რომ გამოუვალ შემთხვევაში აფხაზეთში, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ ქართველობას უნდა ეომა და მას უნდა დახმარებოდა დანარჩენი საქართველო, რაც არაერთგზის ხმამაღლა მითქვამს თქვენთვის და სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრებისთვისაც, მაგრამ ამაოდ! ამიტომ, უკვე ომის პირველ დღეებში, გადავფრინდი გალში, სადაც ადგილობრივი წევამდელების ბაზაზე უკვე შეექმნათ (გამგებელი რუდიკ ცატავაძ საჯარისო ფორმირებები. ახლა მათი შეიარაღება იყო საჭირო!

როდესაც ამის შესახებ და მთელ რიგ ხელისშემშლელ ფაქტორებზე მოგახსენეთ, გახსოვთ, რა მიპასუხეთ, ბატონო ედუარდ? „ბატონო ნაპო, 12 ათასი ავტომატი გამოგიგზავნეთ და რა უყავით ისინი?! მეტი არა მაქვს და რა მოგქცეთ!“ მე თავი ვერ შევიკავე და ზომაზე მეტი ემოციურობით გიპასუხეთ: „მე რა საერთო მაქვს შეიარაღებასთან?! საერთოდ კი, რა ხდება ვერ გამიგია, ბატონო ედუარდ, გლეხი რომ გლეხია, იმანაც იცის, როცა სახლს აშენებს ან, ვთქვათ, სტუმრებს ელოდება, გათვლის რა სახსრები სჭირდება ამისთვის და რამდენი აქვს. იმის მიხედვით იმოქმედებს. ჩვენ კი რა გვემართება?!“ რა თქმა უნდა, ეს თქვენ არ გესიამოვნათ და ცივად გამომისტუმრეთ, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი და გადამწყვეტი იყო ის, რომ ამ საუბარს და ჩემს თხოვნას არ მოჰყოლია შედეგი: ომის პირველ დღეებში ყაზარმულ მდგომარეობაში მყოფი გულრიფშის ბატალიონისათვის გაიცა მხოლოდ 16 ავტომატი, ხოლო გალის 5 ბატალიონისა და 500 მოხალისისათვის – არც ერთი(!ძ. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც იარაღს უპირველესად კრიმინალური რეპუტაციის მქონე პირებს ურიგებდნენ და მავანნი კი ყიდდნენ მას.

სწორედ ასეთი რეალიების ფონზე, გაგრის საეჭვო ვითარებაში ჩაბარებისა და იქ დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ ომის მთელი სიმძიმე ადგილობრივი მოსახლეობის მხრებზე გადავიდა. სად გაგონილა ასეთი რამ: სამთავრობო ჯარები – გვარდია და მხედრიონი იწყებენ ომს და, მიუხედავად უდიდესი სამხედრო უპირატესობისა, არ იღებენ არც ერთ აფხაზურ სოფელს, აპარტახებენ ძირითადად ქართულ დასახლებულ პუნქტებს, პირწმინდად ძარცვავენ და აჩანაგებენ, აწიოკებენ როგორც აფხაზურ, ისე ქართულ მოსახლეობას. მერე, დიდძალ შეიარაღებასთან ერთად, აბარებენ მოწინააღმდეგეს გაძარცვულ გაგრას და „ვალმოხდილნი“, სამთავრობო ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებულნი ბრუნდებიან სახლებში ისე, რომ გააფთრებული მტრის პირისპირ ტოვებენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც ერთი წლის განმავლობაში გმირულად იცავდა აფხაზეთს.

უთავბოლო ომს აფხაზეთში ისეთივე უთავბოლო, არაორგანიზებული და, თამამად შეიძლება ითქვას, მავნებლური (შედეგებიდან გამომდინარეძ პარტიზანული მოძრაობა მოჰყვა გალის რაიონში. პირწმინდად წაგებული ომის შემდეგ მოწინააღმდეგის მსხვერპლი მშვიდობიანი, დაუცველი მოსახლეობა აღმოჩნდა. არადა არ შეიძლებოდა არ გცოდნოდათ, რომ პარტიზანული მოძრაობა უფრო ომის მსვლელობისას უნდა მიმდინარეობდეს, მისი მოქმედების არეალი მტრის ზურგი უნდა იყოს და არა საკუთარი დაუცველი მოსახლეობის ტერიტორია. თითოოროლა ბოევიკის განადგურებას მოსდევდა ათობით და ასობით ადამიანის ამოხოცვა, ათობით სოფლის გადაწვა და განადგურე-



ბა. ამ ტრაგედიამ განსაკუთრებულ მასშტაბებს გალის რაიონში 1994 წლის თებერვალსა და 1998 წლის მაისში მიაღწია...

იქმნება შთაბეჭდილება, რომ 1998 წლის მაისში გალის რაიონში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენები ვიღაცას სჭირდებოდა, ვიღაცას ხელს აძლევდა და ყოველივე ეს წინასწარ იყო დაგეგმილი. სხვანაირად ვერ ახსნი ომის ისევ განახლებას და მდ. ენგურზე ფრონტის ხაზის გავლებას, ენგურზე „გუმისთის“ გადმოტანას ისევ სრულიად მოუმზადებლად, ისევ და ისევ ქვეყნის საზიანოდ. ისმის კითხვა, რა იყო მაინც ამ მზაკვრული ჩანაფიქრის შორსმიმავალი მიზანი?

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა გავიხსენოთ ის, თუ რა იყო ამ ყველაფრის წინაპირობა. თქვენ არ მიესალმებოდით ფიჩორში მარულას გამართვას და არ აცხადებდით, რომ საქართველოს იურისდიქციის აღდგენა და მისი განმტკიცება გალის რაიონში რეალურად შესაძლებელი იყო?, მაგრამ სინამდვილეში კი ხდება გაუგონარი რამ – იქ შეყვანილ, ავტომატის ერთი მჭიდისა და ერთი ხელყუმბარის („ლიმონკის“ძ ამარად დარჩენილ საჯარისო ფორმირებებს, როგორც ჩანს, სცენარის მიხედვით, უკან უნდა დაეხიათ და მშვიდობიანი მოსახლეობა გააფთრებული მტრის პირისპირ უნდა დაეტოვებინათ. რაც შეეხება დისტანციურად მართვად პლასტიკურ ბომბებს, რომელიც ერისწყლის არხის გასწვრივ ყოველ ერთ კილომეტრში დამონტაჟდა, არ ამოქმედდნენ – ისინი გამოშიგნული, ე.წ. „ზაპალის“ გარეშე აღმოჩნდნენ?!...

მოტყუებულმა ჯარისკაცებმა მაინც მოახერხეს და სამშვიდობოზე გამოსვლის საშუალება მისცეს მოსახლეობას! ძნელია შეაფასო თქვენეული გეგმის შესაძლო შედეგები და მასშტაბები!... საბედნიეროდ, მოვლენები დაგეგმილი სცენარით არ წარიმართა. იმიტომ ხომ არ ნერვიულობდით იმ დღეებში განსაკუთრებით, ბატონო ედუარდ? ვინც გალის მოვლენების მეორე დღეს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80-წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ტელეგადაცემას უყურებდა, რა დაავიწყებს თქვენს ისტერიულ ქავილსა და აკანკალებულ ხელებს!... ყველაფერი დღესავით ნათელი იყო! მტერიც მიხვდებოდა, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა გალის მშვიდობიანი მოსახლეობის, დიდისა და პატარის ამოჟლეტას...

ყველაფერი ეს პათეტიკა და მით უფრო ლირიკული გადახვევა არ გახლავთ! ეს მწარე და სასტიკი სიმართლეა. ის სიმართლე, რომელიც დღეს ყველამ კარგად იცის, მათ შორის გალის მოსახლეობამაც, მაგრამ უცნობია მხოლოდ ის, თუ რა ბედი ეწია იმ 12 თუ 20 მილიონ დოლარს, რომელიც ამ გამაოგნებელი იდეის რეალიზაციისთვის იყო გამოყოფილი?! მოიძიეთ და აგებინეთ ვინმეს პასუხი გალის მოვლენების გამო? ან ვინ აგებდა პასუხს!..

ამასობაში ხალხი სულ სხვა რამის მოლოდინში იყო. ის მიესალმებოდა ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის დამთავრებას და ეგონა, რომ, 1993 წლის 7 ნოემბერს რუსეთის ხელშეწყობით, ზუგდიდში შემოსული სამთავრობო ჯარები, როგორც ტელევიზია აცხადებდა, გააგრძელებდნენ წინსვლას ფსოუს მიმართულებით. სინამდვილეში კი სამთავრობო ჯარებმა ცეცხლის ალში გახვიეს სენაკი, შემდეგ დარჩელი, გადაწვეს დაააწიოკეს ასობით ოჯახი და დიდძალი ნადავლით გაბრუნდნენ შინ. იმ ავადმოსაგონარ დღეებში რამდენიმე კვირის განმავლობაში მდ. ენგურს გაღმა-გამოღმა ერთნაირი ხელწერით მიმდინარეობდა მოსახლეობის ენით აუწერელი გენოციდი. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ გაღმა აფხაზებისა და მათ მიერ დაქირავებული მკვლელები შემზარავი სისასტიკით უსწორდებოდნენ მათ, როგორც ქართველებს, გამოღმა კი სამთავრობო ჯარები – „მხედრიონი“ და გვარდია ანალოგიურად ექცეოდნენ როგორც არაქართველებს! ამაში იყო, არამარტო და არაიმდენად კოლხების, არამედ სრულიად საქართველოსა და ქართველი ერის ტრაგედია.

ომის მთელი მსვლელობა, მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ნაბიჯები, საკადრო პოლიტიკა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო, მეტყველებდა იმაზე, რომ ქვეყანაში სეპარატიზმის ალაგმვა, ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის განმტკიცება კი არ ყოფილა მთავარი, არამედ კომერციული მიზნები. სოჭის შეთანხმების საფუძველზე განიარაღებული აფხაზეთის ქართველობა, ღალატის შედეგად, აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დაქირავებული მკვლელების მსხვერპლი გახდა. როგორც მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, ამისკენ იყო მიმართული სამთავრობო სტრატეგია და ტაქტიკა. ამ მიზანს ემსახურებოდა თითქმის ყველა და ყველაფერი აფხაზეთის ქართველობის ცნობილი წრეების დესტრუქციული საქმიანობის ჩათვლით.

ყველა ფაქტისა და არგუმენტის ერთ წერილში მოყვანა, მოგეხსენებათ, შეუძლებელია, მაგრამ მოტანილი მასალაც ბადებს აურაცხელ კითხვას და ვიდრე ყველა კითხვის დასმას შევუდგებოდე, კიდევ ერთხელ გთხოვთ მომიტევოთ წერილის პირუთვნელობისთვის, რაც გარდაცვლილთა და დახოცილთა ხსოვნისადმი პატივისცემით, დევნილთა განუზომელი ტკივილით არის განპირობებული. მიტევებას ვითხოვ აგრეთვე იმისათვის, რომ წერილი ესოდენ გადატვირთულია კითხვებით, მაგრამ ისინი პასუხს მოელიან! აი კითხვებიც...

რისთვის იყო საჭირო ომი აფხაზეთში? შეიძლებოდა თუ არა მისი თავიდან აცილება? თუ მშვიდობა გვინდოდა ამ რეგიონში, რატომ არ მოხდა პოლიტიკური ორიენტირის დროზე გამონახვა და წლობით მომწიფებული პრობლემის დიალოგის გზით მოგვარება? ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობაში დაგროვილი პრობლემების მოსაგვარებლად, რატომ არ შემუშავდა კონსტრუქციული წინადადებები და რატომ არ გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები?

სამაჩაბლოდან გამოტანილი გაკვეთილების შემდეგ მაინც რატომ ვერ აღმოვჩნდით მზად ახალი, დემოკრატიული ძვრებისა და რეალიებისადმი აფხაზეთთან მიმართებაში? ხომ არ შევრჩით უშუალოდ ჩვენი პრობლემების მოგვარებას და ხომ არ მოგვიდუნდა ყურადღება საქართველოში მცხოვრები მცირერიცხოვანი ერების პრობლემებისადმი? ხომ არ გავერთეთ პირადი, პარტიული თუ კლანურ-მაფიოზური ამბიციებით და ასევე ხელისუფლებისათვის გაუთავებელი ბრძოლით? რატომ ვერ გამოვიჩინეთ უფრო მეტი პოლიტიკური წინდახედულობა და, ამ თვალსაზრისით, უფრო მეტი მოქნილობა? ვფლობდით კი ერთმანეთის მოსმენის ხელოვნებას? მივუგდეთ კი ყური ჩვენს ოპონენტებს და გავითავისეთ მათი ინტერესები? რატომ არ ვცადეთ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში არსებული პრობლემების მოწესრიგება ტრადიციული გზით?.

რატომ არ გავითვალისწინეთ, რომ დემოკრატიული მოძრაობა და დემოკრატიული ცვლილებები მეტ-ნაკლებად შეეხებოდა ყველა ერს – დიდსა თუ პატარას და აფხაზეთი ამაში გამონაკლისი არ იქნებოდა? არ უნდა გვცოდნოდა, რომ იმპერიის ნგრევის შედეგად მიმდინარე პროცესები – ავტონომიების რესპუბლიკებად გარდაქმნა და „სუვერენიტეტების აღლუმი“ – გარკვეულწილად ჩვენს ავტონომიებსაც შეეხებოდა?

თუ გავეცნობით ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძისადმი, იმ დროისათვის რუსეთში ჩვენი ელჩის სახელზე თქვენს მიერ გაგზავნილ წერილს, ვერ ვიტყვით რომ ეს არ იცოდით, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე გამბედაობა არ გეყოთ, და ეს წერილი უფრო ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის თვალსაჩინო ნიმუშად თუ გამოდგება. აი ისიც:

*„სრულიად საიდუმლოდ*
*ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ი*

*ბატონო ვაჟა,*

*გადაეცით ჩემი გულწრფელი მოკითხვა და დიდი მადლობა ბ-ნ ბერეზოვსკის მისი კეთილი ინიციატივისათვის: მჯერა, რომ იგი მომავალი საუკუნის პოლიტიკაში ერთ-ერთი დიდი ფიგურა იქნება.*

*რაც შეეხება ბათუმის, გალისა და კოდორის საკითხებს, განვიხილოთ უფრო გვიან, მას შემდეგ, რაც ავტონომიებში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ჩვენ იძულებული ვიქნებით ფორმალურად უარყოფითი რეაგირება მოვახდინოთ ამ ფაქტებზე, სინამდვილეში კი იგი გარდაუვალია ნებისმიერი სახელმწიფო წარმონაქმნისათვის. ასეთია ჩვენი პოზიცია, გამომდინარე „გერმანული“ ვარიანტიდან. ამასთან უნდა დარწმუნდნენ ჩვენი მეგობრები, რომ სამოკავშირეო (ხელშეკრულებაზე) ურთიერთობებზე უარს ვერ ვიტყვით, მაგრამ ხალხის შემზადებას დრო სჭირდება. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩეჩნეთის ფაქტორსაც. დადებითი საერთაშორისო რეზონანსის (ამ ვარიანტით) უზრუნველსაყოფად იცი რომ კარგა ხანია მუშაობენ: დასავლეთთან სიონისტური მიმართულებით ნ. ლეკიშვილი და ვ. რჩეულიშვილი. გრიგორიანული მიმართულებით, ზ. ჟვანია, ი. სარიშვილი და ჭყონია. კავკასიელებთან ი. ბათიაშვილი, შ. ნათელაშვილი და მ. არეშიძე. საჭიროა მათი დაკავშირება ბერეზოვსკისთან. ბ-ნ სერგეისა და ლუდვიგს თემოსთან ერთად გააცანით ჩემი პოზიცია. სასურველია მასპინძელმა მხარემ ნაკლებად იცოდნენ ამ შეთანხმებათა შესახებ. მ.შ. განსაკუთრებით „ჩვენმა მხატვარმა“.*

*ედუარდ შევარდნაძე“ .*
*(სტილი დაცულია)*

**ნაპო მესხია,**
1991 წლის მოწვევის აფხაზეთის
უმაღლესი საბჭოს წევრი.
2008 წლის 10 სექტემბერი

(გაგრძელება იქნება)

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რატომ უყვარს მაკკეინს მიშა





**მიხეილ სააკაშვილმა გამოუძინებელი წითელი თვალებითა და სატელევიზიო გრიმით დაფარული სახით შეკრიბა უახლოესი თანამებრძოლები თავის რეზიდენციაში, ძველ თბილისში რომ მდებარეობს.** 12 აგვისტოს ღამის ორი საათი იყო და საქართველოს დედაქალაქის მიმართულებით გზატკეცილზე მოდიოდა რუსეთის სატანკო კოლონა. „მე არ ვაპირებ გაქცევას, რა ვითარებაც უნდა იყოს, – განაცხადა პრეზიდენტმა. – არ ვაპირებ დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში ვიწუწუნო იმაზე, რომ ომის დროს დავტოვე ჩემი ქვეყანა“. შემდეგ მან ისინი გაუშვა სახლებში, რათა მათ გამოეცვალათ კოსტიუმები და ჰალსტუხები ტანსაცმლით, რომელიც უფრო შეესაბამებოდა დამპყრობლებთან ბრძოლას. ერთი ქილა „რედ ბულის“ შესმის შემდეგ სააკაშვილმა აიღო ყურმილი და დაურეკა თავის ახლო მეგობარსა და მრჩეველს, ვისაც ყოველთვის მიმართავს 8 აგვისტოდან, როდესაც დაიწყო ომი: ჯონ მაკკეინს. რესპუბლიკელთა ფლაგმანის წყაროსთან დაახლოებულმა პირმა, რომელმაც გვთხოვა არ დაგვესახელებინა მისი სახელი, ვინაიდან საქმე შეეხება კერძო საუბარს, გვითხრა, რომ მაკკეინმა გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა მოსკოვზე მოვახდინოთ დიპლომატიური და პოლიტიკური ზემოქმედება. „გამაგრდი, – უთხრა სენატორმა, სააკაშვილის თანაშემწის სიტყვებით, რომელიც დათანხმდა ანონიმურობის პირობებს. – ჩვენ ამას არ დავუშვებთ... ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რათა შევაჩეროთ ეს აგრესია“.

არ არის გასაკვირი, რომ 41 წლის სააკაშვილი, ვისაც ქართველები მიშას ეძახიან, მიმართავს კრიზისულ მომენტში მაკკეინს: ისინი მეგობრობენ უკვე ათი წელია, და მაკკეინისთვის ეს არის ერთ-ერთი მაგალითი მეტად მჭიდრო ურთიერთობისა უცხოელ ლიდერებთან. სენატორი-რესპუბლიკელი ჩრდილოეთი კაროლინიდან რიჩარდ ბარი 2006 წელს იყო საქართველოში დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მაკკეინი ხელმძღვანელობდა. მისი სიტყვებით, სააკაშვილი რესპუბლიკელთა კანდიდატს მიმართავდა, როგორც „სხვა დონის... სიდიდეს“. გასაგებია აგრეთვე, თუ რატომ არის აღფრთოვანებული მაკკეინი საქართველოს პრეზიდენტით. იგი მრავალმხრივ არის ენერგიული და არაორდინარული რეფორმატორი, ქედუხრელი მებრძოლი თავისუფლებისთვის, რომელიც გამოდის „რუსი დათვის“ წინააღმდეგ. იუსტიციის მინისტრის კარიერა სააკაშვილისთვის ერთ საათში დამთავრდა – 2001 წელს კაბინეტის სხდომის დროს, როდესაც მან ყველას უჩვენა საქალალდე ფოტოგრაფიებით, სადაც ნაჩვენები იყო მინისტრების ქალაქგარე ბრწყინვალე აგარაკები, დადო იგი მაგიდაზე და მოითხოვა დაუყოვნებლივ დაესაჯათ მისი კოლეგები. „ჩვენ ბევრ რამეში ვგავართ ერთმანეთს, ამბობს სააკაშვილი. – ჩვენ ვგავართ ერთმანეთს იმითაც, რომ არ შეიძლება რწმენის მსხვერპლად მოტანა“.

სწორედ ეს აღელვებს მაკკეინის მრავალრიცხოვან კონსულტანტებს საგარეო პოლიტიკის დარგში. ამ პარასკევ საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის უნდა გაიმართოს დებატები საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე, და რესპუბლიკელს, უმრავლესობის აზრით, ექნება უპირატესობა: გამოკითხვები, ერთი-მეორის მიყოლებით, უჩვენებენ, რომ იგი ამომრჩეველთა აზრით, უკეთესია, ვიდრე სენატორი ბარაკ ობამა. სააკაშვილის მსგავს ლიდერებთან ურთიერთობა აძლიერებს ამ აზრს. და მაინც მაკკეინის სიყვარული მიშასადმი ეწინააღმდეგება ბევრი რესპუბლიკელის ინსტინქტს. მაკკეინს მოსწონს, რომ სააკაშვილი მნიშვნელობას ანიჭებს ზნეობრივ პრინციპებს, ამბობს დიმიტრი საიმსი, ნიქსონის ცენტრის დამაარსებელი და პრეზიდენტი.

ძნელია სიმპათიები არ გვქონდეს სააკაშვილის მიმართ. ეს არის მომხიბლავი, ურთიერთობაში უშუალო და მეტად ენერგიული ადამიანი. ის დასცინის საკუთარ ხუმრობებს. როგორც მაკკეინი, ის უბრალოდ ესაუბრება პრესას. ჩამოსულ ჟურნალისტებს ის უგზავნის ეს-ემ-ესებს საკუთარი მობილური ტელეფონით (არ მალავს თავის ნომერსძ, იწვევს მათ ღამის სამ საათზე დაუგეგმავ ვახშამზე. მისი მეუღლე სანდრა აღიარებს, რომ იგი „იმპულსურია“, თუმცა მიაჩნია: „ეს კარგი თვისებაა. იგი არ უშვებს არც ერთ შესაძლებლობას. მას სურს, რომ ყველაფერი სწრაფად გაკეთდეს“. მაგრამ, როგორც წესი, სააკაშვილი წარმოგვიდგება არაჩვეულებრივად გაწონასწორებული, მას აქვს დაბალი, თუმცა ხმამაღალი ტემბრი, ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და უკრაინულ ენებს. თავის მეტად ღრმა რწმენების – თავისუფლების სიკეთისა და კომუნიზმის დამღუპველობის – შესახებ ის ისეთი რწმენით ლაპარაკობს, რომ მის სიტყვებში ეჭვი არ შეგეპარება.

სწორედ ტოტალიტარიზმისადმი მისი ზიზღის გამო დაუკავშირდა მაკკეინი სააკაშვილს, როდესაც იგი იყო რონალდ რეიგანის მიერ დემოკრატიის მხარდასაჭერად ჩამოყალიბებული არასახელმწიფო საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელი, აწარმოებდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პოტენციური ლიდერების ძებნის პროგრამის კოორდინირებას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. 1995 წელს იგი თავმჯდომარეობდა ამ ინსტიტუტის მიერ ვაშინგტონში მოწყობილ კრებას, რომელსაც ესწრებოდა სააკაშვილიც. ახალგაზრდა ქართველმა, კოლუმბიის უნივერსიტეტისა და ჯორჯ ვაშინგტონის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა სწორედ მაშინ განაცხადა უარი ნიუ-იორკის ადვოკატურის ბიუროში კარიერისგან და გაემგზავრა თავის სამშობლოში, რათა იქ პოლიტიკაში ჩართულიყო. 1997 წელს თბილისში მაკკეინის ვიზიტის შემდეგ მათი მეგობრობა განმტკიცდა. სააკაშვილი იმ დროს იყო პარლამენტის დეპუტატი და ამზადებდა სასამართლო რეფორმას, მან მაკკეინზე შთაბეჭდილება მოახდინა თავისი ენთუზიაზმით, როდესაც საკითხი შეეხებოდა, სააკაშვილის სიტყვებით, „უნივერსალურ, არა მხოლოდ ამერიკული პრინციპების პატივისცემას, არამედ საკუთარი პოტენციალის აღქმასაც“.

მაკკეინმა მხარი დაუჭირა მეგობარს 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს, რომლის შედეგადაც სააკაშვილი გახდა პრეზიდენტი. ახალგაზრდა ქართველი პოლიტიკოსი კენჭს იყრიდა სახელმწიფოს უმაღლეს პოსტზე, მაკკეინი კი კვლავ ჩავიდა თბილისში (ამერიკის შეერთებული შტატების მაღალჩინოსანთა დელეგაციის მეთაურის რანგშიძ, რათა მოეწოდებინა ედუარდ შევარდნაძისთვის, რომელსაც ხელმეორედ არჩევა სურდა ამ თანამდებობაზე, გამოეჩინა პატივისცემა ამომრჩეველთა ნდობისადმი. ამან ვერ შეაჩერა შევარდნაძე კენჭისყრის შედეგების გაყალბების მცდელობისგან. როდესაც სააკაშვილმა და მისმა მომხრეებმა პროტესტის ნიშნად დაიკავეს პარლამენტის შენობა, მაკკეინმა დაურეკა შევარდნაძეს – ასევე თავის დიდი ხნის მეგობარს – და შეეცადა დაერწმუნებინა იგი, მშვიდობიანად დაეტოვებინა პოსტი. შევარდნაძე, ბოლოს და ბოლოს, ასეც მოიქცა.

სააკაშვილმა კარიერის დაწყებისთანავე გაათავისუფლა 80 ათასი სახელმწიფო ჩინოვნიკი (დედანში ასეა – რედ.ძ, მათ შორის 90 პროცენტი ძალოვანი უწყებებიდან, რომლებმაც მომზადება გაიარეს ჯერ კიდევ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში, და აბსოლუტურად ყველა მუშაკი კორუმპირებულობით სახელგანთქმული ავტოსაგზაო სამსახურიდან – სახელმწიფო ავტოინსპექციიდან. მას შემდეგ 3 დეპუტატი, 16 პროკურორი, 45 მოსამართლე, 400 პოლიციელი ჩინოვნიკი და მოქმედი მინისტრიც კი გათავისუფლებულ იქნენ თანამდებობიდან და დაპატიმრებული მექრთამეობისთვის. მიშამ ძველი ქართული მმართველი კლასის გვერდის ავლით ჩამოაყალიბა თავისი კაბინეტი იმ ახალგაზრდა ადამიანების შემადგენლობით, რომლებმაც განათლება მიიღეს დასავლეთში, ადრე მუშაობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებში. „მხოლოდ ახალგაზრდები ილვწოდნენ ქვეყნის შესაცვლელად“, – ამბობს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ალექსანდრე ლომაია. იგი 50 წლისაა და კაბინეტის ყველაზე უხუცესი წევრია (თავდაცვის მინისტრი 29 წლისააძ.

მაგრამ შემდგომში პრეზიდენტი უკვე ველარ იტანდა სხვაგვარად მოაზროვნეებს. დღეს მისი მთავრობა – ეს არის ერთი მსახიობის თეატრი, ჩივიან მისი ყოფილი თანამებრძოლები. „საქართველოში ყველაფერს ერთი ნიშა წყვეტს, – ამბობს საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი, ამჟამად კი ოპოზიციის მეთაური სალომე ზურაბიშვილი. – მან ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება ომის დაწყების შესახებ და იგი ახლაც მარტოა“.

ყველაზე საზიზღარი შემთხვევა მოხდა გასული წლის ნოემბერში, როდესაც დუბინკებით შეიარაღებულმა ომონელებმა ბოლო მოუღეს ხუთდღიან ანტისამთავრობო გამოსვლებს. რამდენიმე საათის შემდეგ 250 ქართველმა სპეცნაზელმა იერიშით აიღო ოპოზიციური ტელეკომპანია „იმედი“. „კიბეზე, რომელიც პირველ სართულზე ადიოდა, კამუფლაჟში გამოწყობილმა კაცმა შუბლზე პისტოლეტი მომადო, – გვიამბობს არხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის დირექციის ხელმძღვანელი გიორგი თარგამაძე. – დავინახე, რომ ჩემი კოლეგები იატაკზე იწვნენ“. 500-ზე მეტი კაცი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ სააკაშვილი ირწმუნება, რომ მკაცრი ზომები აუცილებელი იყო. „ბრბო თავს დაესხა პოლიციელებს და ჩვენც გავაკეთეთ იგივე, რასაც ჩვენ ადგილზე გააკეთებდა ნებისმიერი ევროპული ქვეყანა“, – თქვა მან. როგორც წესი, ადგილი ჰქონდა სატელეფონო კონსულტაციებს მაკკეინთან. „სენატორმა მაკკეინმა აშკარად გვაგრძნობინა, რომ იგი მომხრეა თავისუფლების სრული აღდგენისა, თავისუფალი არჩევნების მოწყობისა საერთაშორისო მეთვალყურეების ზედამხედველობით და პოლიტიკური რეფორმების უფრო ღრმა დანერგვისა“, – განაცხადა მაკკეინის მახლობელმა თანამოსაუბრემ, რომელმაც აგრეთვე გვთხოვა არ დაგვესახელებინა მისი პიროვნება, ვინაიდან საკითხი შეეხებოდა კერძო საუბარს. მიუხედავად ამისა, ბევრი ოპოზიციონერი ამბობს, რომ სააკაშვილი ფიქრობდა: ვაშინგტონთან კავშირი მას კრიტიკისგან დაიცავდა.

კონფრონტაცია ორი ქართული ამბოხებული რეგიონის გარშემო დიდი ხანია მწიფდებოდა. პირველად მოსკოვმა დაუჭირა მხარი აფხაზ და სამხრეთოსეთელ სეპარატისტებს ქაოსის წლებში, რაც მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლას, უკანასკნელ პერიოდში კი დაპირისპირება სწრაფად ძლიერდებოდა. როგორც რუსეთის ადმინისტრაციის წყაროებიდან იტყობინებიან, პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი, რომელიც ტანად დაბალია, მეტად გულნატკენი დარჩა, როდესაც გაიგო, რომ სააკაშვილმა მას კერძო საუბარში „ლილიპუტინი“ უწოდა. მაგრამ არაფერი ისე არ აღელვებს რუსეთის ლიდერს, როგორც საქართველოს სწრაფვა ნატოსკენ. როდესაც აპრილის სამიტზე ბუქარესტში სააკაშვილმა ნაწილობრივ მიიღო ალიანსში შესვლის მწვანე შუქი, კრემლმა დაიწყო მზადება ომისთვის, ამბობს მოსკოვის სამხედრო მიმომხილველი პაველ ფელგენგაუერი. რუსეთის კონტინგენტმა განახორციელა სამხრეთ ოსეთში რამდენიმე მანევრი, ხოლო საინჟინრო ჯარებმა შეაკეთეს აფხაზეთში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რკინიგზა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ჯავშანტექნიკის სწრაფი გადასროლა.

რუსეთს, უბრალოდ, სურდა სააკაშვილის ომში ჩართვა, რომლის მოგებაც მას არ შეეძლო. სააკაშვილის ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის მრჩეველმა ერთი წლის წინათ იგრძნო, რომ მწიფდებოდა კონფლიქტი და უამბო თავის მეგობრებს, რომ მზადაა, რათა დატოვოს თავისი პოსტი. „ისინი აპირებენ ომის დაწყებას, რათა შემდეგ ეს ომი წააგონ“, – უთხრა ჩინოვნიკმა თავის კოლეგებს, რომლებიც დაგვთანხმდნენ ინტერვიუ მიეცათ „ნიუსვუიკისთვის“ ანონიმურობის პირობით. მიუხედავად ამისა, სააკაშვილი არ აღიარებს, რომ მას განზრახული ჰქონდა ომში საქართველოს მოკავშირეების ჩართვა. „მე სრულიადაც არ მინდა, რომ ჩვენთვის იბრძოდეს ევროპა, – ამბობს იგი. – მაგრამ ევროპის ქვეყნების წინაშე არჩევანია: შეაჩერონ (რუსეთისძ აგრესია აქ, თუ ელოდონ, როდის გაუსწორდება იგი მორიგ მსხვერპლს“.

**ანა ნემცოვა, დენ ეფრონის, სიუზენ სმოლი**

Newsweek

# დასავლეთი საქართველოს დემოკრატიულ ქვეყანას უწოდებს, მაგრამ არის კი იგი ასეთი?

**„დიდი ძველი პარტიისგან“ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატმა სარა პეილინმა დიდი ხმაური გამოიწვია, როდესაც დარწმუნებით განაცხადა, რომ საქართველოს ადგილი ნატოშია, თუნდაც ეს ნიშნავდეს იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „შეიძლება“ მოუწიოს, აწარმოოს ომი რუსეთთან.** მაგრამ მისი ასეთი მტკიცე რწმენის მიზეზები ერთგვარად საზოგადოებრივი ყურადღების თვალსა და ხელს შუა გაიპარა: საქართველო, თქვა მან, „დემოკრატიაა“ – სიტყვა, რომელსაც შეერთებული შტატების პოლიტიკოსები ასე იოლად ისვრიან მარცხნივ და მარჯვნივ.

ჯონ მაკკეინმა, მას შემდეგ, რაც რუსეთმა შეიყვანა საქართველოში თავისი ჯარები, საქართველოს უწოდა „პატარა დემოკრატიული ქვეყანა“ და განაცხადა: „ჩვენ ყველა ქართველები ვართ!“ მას მხედველობაში ჰქონდა ის, რომ საშიშროება საქართველოს მიმართ წარმოადგენს საფრთხეს მთელი მსოფლიოსთვის. ჯო ბაიდენი მას „ახალგაზრდა დემოკრატიას უწოდებს“. მაიკლ მაკფოლმაც მას უწოდა დემოკრატია თავის ამასწინანდელ გამოსვლაში კონგრესზე.

მაგრამ ამერიკის შეთრთებული შტატების ისტებლიშმენტის მაღალი წრეების იქით საქმე სულ სხვაგვარად ჩანს. ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსი“ თავის ბოლო გამოკვლევაში საქართველოს ათავსებს ვენესუელასთან ერთ კატეგორიაში. ამით მისი თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის რეიტინგი ეცემა, ვიდრე მოლდოვასა, უკრაინასა და ყველა იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც არიან ევროკავშირისა და ნატოს წევრობის კანდიდატები. ნიკოლნ მიტჩელი, ექსპერტი საქართველოს შესახებ და კოლუმბიის უნივერსიტეტის მასწავლებელი მიიჩნევს, რომ საქართველოს დემოკრატიას სარგებელს არ ანიჭებს სახელმწიფოსა და პარტიას შორის რეალური საზღვრის უქონლობა და მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ მიაღწია მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დროს, მან მაინც ვერ შეძლო შეექმნა ეფექტიანი სასამართლოს სისტემა, დაასუსტა ეკონომიკური ხელისუფლება და მოახდინა მისი აღმსრულებლად გარდაქმნა. ყოველ შემთხვევაში, „ფრიდომ ჰაუსის“ თანახმად ქვეყანა გახდა ნაკლებდემოკრატიული.

**მაიკლ ფრიდმანი**

Newsweek

*(რედაქციისაგან: უცხოეთის პრესის მასალები იბეჭდება შემოკლებით).*



# პროქტოლოგიის მარკესი

–ეს რა უბედურებაა კაცო, შეიძლება ისეთი ავადმყოფობა გჭირდეს, ახლობელს ვერ უმხელდეო? – შემომჩივლა მეგობარმა, თან ეშმაკური ღიმილით უკანალი შეათამაშა.

– ნუ გეშინია, გიშველი... წავედით გელა მუხაშავრიასთან „რესპუბლიკურში“.

– ღირს ვითომ?...

– აბა, იყავი ეგრე... ვერ დგები, ვერ ჯდები, ვერ წვები... წავედით!...

საქვეყნოდ ცნობილი პროქტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გელა მუხაშავრია თავისი კლინიკით მეთერთმეტე სართულიდან პირველზე ჩამოსულა, აქ არის განთავსებული „პროქტოლოგიის ეროვნული ცენტრი“. გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა... მერე სხვებიც შევნიშნე – ნაცნობი ექიმები, ექთნები...

აქვე მუშაობს ბატონი გელას ვაჟიშვილი, ისიც პროქტოლოგი, თავისი საქმის დიდი სპეციალისტი გია მუხაშავრია... რა დასამალია და, ამათი პაციენტი მეც გახლდით ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ და თან გადამყვა მთელი მედპერსონალი...

შეიყვანა გასასინჯად ბატონმა გელამ ჩემი მეგობარი, მე კი დერეფანში ბოლთას ვცემ და თან ამ არაჩვეულებრივ კაცზე ვფიქრობ...

... შესასვლელში, კედელზე ხატებია გამოფენილი და სანთლები ანთია, ბატონი გელას კაბინეტთან მისი გამონათქვამები გამოუკრავთ. აი, მაგალითად: **„ღირსებას ვერ იყიდი, ვერც ვერავინ მოგცემს და ვერავინ წაგართმევს, ის ყოველთვის შენია სიცოცხლეში და სიცოცხლის ბოლო წამებშიც“.** საყურადღებოა, არა?... უპირველესად თვითონ ბატონი გელაა ამ ფორმულის შემსრულებელი – ჭეშმარიტად ღირსეული მამულიშვილი, სულში რომ იძვრენს მთელი სამეგობრო – თბილისის კოლორიტს, ავლაბრელ კაცს...



სულ ავადმყოფთან ტრიალი და ხელში ლანცეტი თქვენს მტერს და, ბატონი გელა ქართულ სუფრაზე, ქართულ ნადიმზე უნდა ნახოთ... საგამოფენო დარბაზს ჰგავს მისი კაბინეტი: რუსთაველის, ვაჟას, გალაკტიონის, ფიროსმანის სურათები, თვითონ გადაღებული უამრავ ცნობილ პიროვნებასთან... ყველა მისი პატივისმცემელი და დამფასებელი.

... ამ ფიქრში მუზა თავისით მოფრინდა და,ბიჭოს, სახუმარო-სამეგობრო სტრიქონები ვტყორცნე ცნობილ დასტაქარს,უცებ დავწერე ბლოკნოტის ფურცელზე და, ჩემი მეგობარი რომ გამოაცილა, ღიმილით გადავეცი:

ხმამაღლა კითხულობს:
**სამშობლო შენი ჯავრია,**
**გენაცვალე, მუხაშავრიავ,**
**ხარ გაჭირვების ტალკვესი,**
**პროქტოლოგიის მარკესი.**

– ო, შენ რა გითხრა...(მკოცნის).

– ეშველება ამ კაცს რამე?
– მეგობარზე ვეკითხები.

– ოპერაციას გადარჩა.

– გმადლობთ, ბატონო გელა! – ეუბნება მეგობარი.

– როგორც დაგარიგე, ისე მოიქეცი... კარგად იყავით! – თვალს მიკრავს და კაბინეტში შედის.

**სურათებზე: გელა მუხაშავრია (მარცხნივ) ზოგადი ქირურგიის ცნობილ პროფესორ თენგიზ ახმეტელთან ერთად; წარმატებით ჩატარებული ოპერაციის შემდეგ „საფერავის“ გადაკვრას არა უშავს.**

# იღუღუნე, ღუღუნა!...

როგორ ამართლებს ზოგჯერ სახელი და გვარი... მაგალითად, ჩემს ძველ თერჯოლელ მეგობარზე რომ ვფიქრობ, უპირველესად, ღუღუნი შემომესმის ამ კაცისა, ღუღუნა სახელაშვილისა.

ქართულ ფოლკლორს გადაყოლილი, ქართულ ხალხურ სიმღერას შეწირული, ღუღუნ-ღუღუნით ცხოვრებამოვლილი სახელაშვილი, სახელის დიდად არმაძიებელი, მაგრამ, გინდა არ გინდა, მაინც სახელის მომხვეჭელი.

ღუღუნა სახელაშვილს, დღეს, 23 სექტემბერს 80 წელი რომ მოათია, არ ჰქონია მაინცდამაინც დალხენილი ბავშვობა, 1937 წელს მამა დაუხვრიტეს, დედა გადაუსახლეს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ღმერთი შეეწია, ნიჭითა და მეცადინეობით მთელი ჩხარი გადარია, ჩამოვიდა თბილისში, ჩარიცხეს ნიჭიერთა ათწლედში, შემდეგ სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა, ერთხანს განათლების სისტემაში იმუშავა, შემდეგ კი მთელი ცხოვრება ჩვენი ხალხური სიმღერის პოპულარიზაციას შეალია.

ბატონი ღუღუნა დღესაც თერჯოლის რაიონულ ანსამბლ „იმერეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელია. დამუშავებელი აქვს ბევრი ძველი სიმღერა (განსაკუთრებით იმერული), თერჯოლაში მისგან ნაწყენ კაცს ვერ იპოვით, თავის დროზე, კომუნისტებმა თუ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება უბოძეს, დამოუკიდებელ საქართველოში „ღირსების ორდენი“ მიიღო, შვილებსა და შვილიშვილებს აყვარებს ქართულ ჰანგებს, ჰოდა, ერთი კაცის სიცოცხლედ ხომ ღირს ეს ყველაფერი?...

იცოცხლე, კვლავაც დიდხანს იღუღუნე, ბატონო ღუღუნა!



**სურათზე: ღუღუნა სახელაშვილი შვილიშვილთან ერთად.**

# გვარის გულშემატკივარი

„ალექსანდრეს ბაღში“ ძელსკამზე ვარ ჩამომჯდარი და შვილიშვილის თამაშს თვალს ვადევნებ. ისეთი დღეა, გოგლა ლეონიძე რომ იტყოდა: „ჩამაჭრდა კახეთს ჰაერი“ (გოგლას ძეგლი იქვე დგას, „მშრალ ხიდს“ გაჰყურებს). ხანშიშესული ქალი მოგვიახლოვდა, ანანიკოსთან შეჩერდა, ჩაიკუზა, ლოყაზე მოეფერა, მე თავი დამიქნია ღიმილით და იქვე ჩამოჯდა.

– შვილიშვილია?

– დიახ... ქალბატონო.

– გაგიზარდოთ ღმერთმა... მე თითქმის აღარ დამრჩა აღარავინ... ის კი არა, მგონი, გვარიც გადაშენდა ჩემი...

– მაინც რა გვარის ბრძანდებით?...

– ოოო... ძალიან იშვიათი გვარის... **ლომისდარაშვილი** გაგიგიათ?...

– მართლა არ გამიგია... ლომისდარაშვილი... მაგარია!...

– დიახ... მე ვარ ეთერ ილიას ასული ლომისდარაშვილი... მამაჩემი დმანისის რაიონში დიდად პოპულარული და განათლებული კაცი იყო... სათავადაზნაურო გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული... 37 წლის რეპრესიებს გადაჰყვა... პაპაჩემი ლევან ლომისდარაშვილი კი თავის დროზე ბორჩალოს მაზრის უფროსი ყოფილა, მისდევდა მეფუტკრეობას, მებაღეობას... წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის თავის სახლში ორი ოთახი დაუთმია, შემდეგ კი დაწყებითი კლასი გაუხსნია შიგ... სამწუხაროდ, უმემკვიდროდ დავრჩით... (ამოიოხრა) ლომისდარაშვილთა გვარი იკარგება... მაპატიეთ, ჩემი სატკივარით შეგაწუხეთ...

– რას ბრძანებთ... მართლა საწყენია თუ ასეთი გვარი დაიკარგა... წარმომიდგენია, მართლა რა ლომის დარი ვაჟკაცები იყვნენ თქვენი წინაპრები...

– ამიტომ მწყდება გული... კარგად ბრძანდებოდეთ...

ქალი დგება, ანანიკოს დამშვიდობების ნიშნად ხელს უქნევს და „მშრალი ხიდისკენ“ ნელ-ნელა მიემართება.

# ჭეიშვილის მხატვრული სიტყვა ამხელს...

დამაფასა, რედაქციაში მომიტანა თავისი ხელახლა გამოცემული, უკვე ცნობილი **„სამი რომანი“ („ყაჩაღები“, „კუდიანი ვარსკვლავი“, „ქარების დაბრუნება“)** დიდმა ქართველმა მწერალმა (თამაზ კვაჭანტირაძეს დავიმოწმებ) **რეზო ჭეიშვილმა**. ამ წიგნის გამოცემას ველოდით, ამის გამო, აპრილში, დაბადების 75 წლისთავიც კი ვერ მივულოცეთ ჩვენს „ჭეიას“, მწერალს, რომელმაც გასული საუკუნის სამოციან წლებში სრულიად ახალი, განსხვავებული სუნთქვა შემოიტანა ქართულ პროზაში. შემოიტანა და დაამკვიდრა, მისი გმირები გახალხურდა, შალიკო ხვინგიაძისა და „ზაზაევიჩის“ ფრაზებს ხშირად იმეორებს ხოლმე კარგ ხასიათზე მყოფი ქართველი. მშობელ ქუთაისში გამოსცა „საიუბილეო“ წიგნი – საგამომცემლო ცენტრში, ქალაქის მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა განათლების სამსახურის ფინანსური მხარდაჭერით, თემურ ამყოლაძის, ელგუჯა თავბერიძის და სხვათა ძმური დახმარებით.

ჰოდა, მომიტანა, განუყრელი მეგობარი, შესანიშნავი პროზაიკოსი ლევან მალაზონიაც მოჰყვა. შევედით იქვე, „თურქების“ კაფეში, გვეგონა, ლუდი მაინც ექნებოდათ. არა, გენაცვალეო, თუ გნებავთ, ჩაის მოგიტანთო, ოფიციანტმა. რაც არის, არის, მოიტანეთო, „ჭეიამ“... ვსხედვართ, ვაგინებთ რუსეთს, უფრო, რა თქმა უნდა, მის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, თორემ, ბატონი რეზო რომ რუსული კულტურის დამფასებულია, იმითაც ჩანს, კარგა ხნის წინათ, ტოლტოის „ომი და მშვიდობა“, წარმოიდგინეთ, თავიდან ბოლომდე გულდაგული გადაწერა!

– შეიძლება? ალექსი II გამოდის და დაღუპულ ოსთა პარაკლისს აღავლენს?... ეს კლაბ-შოუები მაინც რა ოხრობააო, საღადაოდ გვაქვს საქმეო?!... მაგ ჩეკისტებთან (პუტინთან და მედვედევთან) ლაპარაკი როგორ შეიძლება, როდესაც პირველი ჩეკისტი და სისხლისმსმელი ლენინი ჯერაც მავზოლეუმში უწევთო...

– მაგან გაწყვიტა მთელი სამღვდელოება, – ურთავს ლევან მალაზონია.

– მოეკითხებათ უამრავი ადამიანის ცოდვაო, – ერთ ამბავშია „ჭეია“, – მაგენი, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, რასაც აკეთებდნენ, აგერ არის ამ წიგნშიო...

– მოდით, მაშინ, ჩემო რეზო, მცირე ნაწყვეტი დავბეჭდოთ წიგნიდან, შეიძლება?

– კი ბატონო, თქვენ თვითონ აარჩიეთ...

ჰოდა, უამრავი შესანიშნავი პასაჟიდან ერთ-ერთს ვარჩევთ. აქვე დავამატებთ: ჩვენს ყოფას რა ვუთხარი, თორემ რეზო ჭეიშვილის წიგნი, შეიძლება, მხოლოდ 500 ეგზემპლარი გამოდიოდეს?..

* * *

**სტალინს სამუშაო მაგიდაზე ბინაში და არა კაბინეტში ედო დოქტორ სიგალის წიგნი „სიფილისი“. იმ დროს მოურჩენელი და ფრიად გავრცელებული ავადმყოფობის ისტორია-პროფილაქტიკა, სხვას რომ თავი დავანებოთ, თავისთავად იწვევდა ინტერესს, ვენეროლოგიური მინიმალური ცოდნის შეთვისების სურვილს, მაგრამ მარტო ამისათვის არ ჰქონია სტალინს სიგალის წიგნი გადადებული. ლევ ტროცკიმ სტალინის პირადი მდივნის, ამბის გამტან-გამომტანის, ბაჟანოვის პირით გაიგო ეს, მაგრამ ახსნა იმ ფაქტისა სხვისაგან არ უსესხებია. სტალინს აინტერესებდაო, რა სახის, რა ფორმის სიფილისი ჰქონდათ ულიანოვებს, მამას – ილიას,**







**შვილს –ვალოდიას და რა გავლენის მოხდენა შეეძლო ადამიანის, კერძოდ, პოლიტიკური ლიდერის ფსიქიკაზე ამ სენს. საიდუმლო ანდერძი, რომელიც ავტორის, – ლენინის სიკვდილის შემდეგ უნდა გახსნილიყო, ლენინის სიცოცხლეშივე გახდა რამდენიმე ადამიანისათვის, მათ შორის სტალინისთვის, ცნობილი. სტალინის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნა სიფილისის ნარჩენი მოვლენების ნაყოფად შეიძლებოდა ჩათვლილიყო და სწორედ ამიტომაც, 1923 წელს, XII ყრილობის შემდეგ, უხუცესთა საბჭოს დახურულ სხდომაზე სტალინმა პირდაპირ განაცხადა: პოლიტიკური ანდერძი მძიმე ავადმყოფობის, სიფილისი არ უხსენებია, ზეგავლენით დაწერილი დოკუმენტიაო.**

**ამ ფაქტმა, ანდერძმა და არა სიფილისმა, ბევრჯერ შეახსენა სტლინს თავი, თუმც შედეგი მეანდერძემ უფრო იწვნია, ვიდრე ადრესატმა.**

**არ შეიძლება ლოდინი. შეიძლება დაიკარგოს ყველაფერი, ისტორია არ გვაპატიებს დაყოვნებას!**

**ასე იწყებოდა ბარათი, რომელიც ლენინმა გაუგზავნა ამბოხებულ ბოლშევიკებს მარგარიტა ფეოვანოვას ბინიდან, თავად წერილს გაასწრო და ჯერ ფეხით, შემდეგ ტრამვაით მიაღწია სმოლნამდე. ყბაახვეული, ჭუჭყიანი კეპითა და სათვალით ქანაობდა ვაგონში, ვითომ მთვრალი და კბილატკივებული. დიდი კონსპირატორი ამნაირადაც ეცნაურათ სმოლნის შენობის დერეფანში სხვა პარტიათა წარმომადგენლებთ. უზნალი მერზავცი, გადაულაპარაკა ტროცკის, რომელმაც მოგვიანებით დაწერა: ცნობით მეც ვიცანი, თუმცა შორიდან ჩუჩელა მეგონაო.**

**და აი, ის ჩუჩელა ყბაახვეული შევიდა მსოფლიოს ახალ ისტორიაში.**

**ღამის ორ საათზე ტროცკიმ საათი ამოიღო ჟილეტის ჯიბიდან.**

**– დაიწყო!**

**ლენინმა პირჯვარი (?) გადაიწერა.**

**დაიწყო და აღსრულდა. გაიმარჯვა უმცირესობამ, გამოხატა რა აბსოლუტური უმრავლესობის, მასის სიძულვილი, აღტკინება ნგრევისა, შურისძიებისა!**

**იმავ წლის ათ ნოემბერს, ნიკოლსკისა და სპარსკის ჭიშკრებშუა, სანამ ჯერ ხისა და შემდეგ ქვიტკირ-ქვის მავზოლეუმი აშენდებოდა, სანამ გაიჭიმებოდა მუმიის სანახავად მოსულ მშრომელთა ცალფა სერპანტინი, გაჭრეს საძმო საფლავი და გადმოასვენეს იმ შვიდდღიან უუქმო ომში დაღუპული 240 ადამიანი.**

**წლისთავზე კონენკოვის პროექტის მიხედვით ააგეს მემორიალი, მიამატეს ადრე დაკრძალულებს თავად ჯონ რიდი, სხვები და შეასრულეს გმირთა სადიდებელი კანტატა, რომლის ზემოთ მოყვანილი სტრიქონისა და ტექსტის ერთ-ერთი ავტორი სერგეი ესენინი გახლდათ. მემორიალი გახსნა ლენინმა და საფუძველი ჩაუყარა საკუთარ საძვალეს, – მავზოლეუმის სამგლოვიარო-სადღესასწაულო ფეხისადგილს პარტიისა და ხალხის ბელადებისას. ამ დღიდან იქაურობა იქცა სასაფლაოდ, კომუნისტური ამაოების ბაზრად.**

ვილენ მარდალეიშვილის საავტორო გვერდი

◎ ძალოსნობა

## ღონღაძის მონაგარი



**ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე ორი ქართველი სპორტსმენი ცდიდა ძალებს.** 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი ლომთაძემ მეხუთე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, გაგვახარა ვაჟა ღონღაძემ (94 კგ.ძ, რომელმაც ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ქუთაისელმა ძალოსანმა 158-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა და მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო აკვრაში 180 კილოგრამი დაიმორჩილა, რამაც „ბრინჯაო" მოუტანა. ორჭიდის ჯამშიც ღონღაძე (მწვრთნელი გია ცირეკიძეძ მესამე იყო.

◎ რაგბი

## ხვალ რუსებთან იბრძოლებენ



**ცხრამეტი წლის მორაგბეები ევროპის პირველობაზე პოლონეთის ქალაქ სოპოტში ხვდებიან ერთმანეთს. მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში რვა გუნდი ჩაება.** მეოთხედფინალში საქართველოს ნაკრებმა ჰოლანდიის გუნდს დიდი ანგარიშით მოუგო – 62:7. მასპინძლები რუსებთან დამარცხდნენ – 14:22. დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: რუმინეთი-ბელგია 28:9, პორტუგალია-ესპანეთი 24:8.

ხვალ ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: საქართველო-რუსეთი, რუმინეთი-პორტუგალია.

პოლონეთში გამარჯვებული გუნდი გაისად „ჩელენჯ ტროფეში" იასპარეზებს, რომელსაც კენია უმასპინძლებს. ეს შეჯიბრება კი 2010 წლის გასამართი ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირიც იქნება.

◎ ჩოგბურთი

## მეორე ზონაში გადაინაცვლეს

**მინსკში დევისის თასის ევრო-აფრიკულ I ზონაში საქართველოს ნაკრები ბელარუსებს დაუპირისპირდა.** სამწუხაროდ, ჩვენებმა 0:3 წააგეს და მეორე ზონაში გადაბარგდნენ. ლადო ჩიხლაძემ ვლადიმირ იგნატიკთან წააგო – 3:6, 2:6, 4:6, ხოლო ირაკლი ლაბაძე დაძაბულ ბრძოლაში ანდრეი კარატჩენიას დანებდა – 6:7, 6:3, 6:2, 5:7, 3:6. ლაბაძე – ჩიხლაძის წყვილი მაქს მირნისა და სერგეი ბეტაუს დუეტთან დამარცხდა.

## გრუნტის კანონებით



**ნოემბერში დევისის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს არგენტინისა და ესპანეთის ნაკრებები შეხვდებიან. სამხრეთამერიკელებმა პირველად მიაღწიეს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ყველაზე პრესტიჟული ასპარეზობის დასკვნით ეტაპამდე, მათი მომავალი მეტოქე კი ვერცხლის სასალათის უკვე ოთხგზის მფლობელია. გადამწყვეტ ბრძოლას ბუენოს-აირესის გრუნტიანი კორტები უმასპინძლებს.**

ნახევარფინალში ლა-პლატელები პირველივე დღეს დააწინაურეს ნალბანდიანმა და დელ პოტრომ, რომლებმაც ერთეულთა თანრიგის შეხვედრები, შესაბამისად, ანდრეევსა და ტურსუნოვს მოუგეს – 2:0, თუმცა მდგომარეობა მას შემდეგ შეიცვალა, რაც ტურსუნოვ-კუნიცინის წყვილმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა – 1:2. ამ წარმატებით ფრთაშესხმულმა ტურსუნოვმა ფავორიტთა ლიდერი ნალბანდიანი დაამარცხა და სტუმრებს გამარჯვების შანსი დაუბრუნა – 2:2. კრიტიკულ ვითარებაში მატჩის გმირობა დელ პოტრომ ითავა, რომელიც სამ პარტიაში გაუსწორდა ანდრეევს – 3:2.



რაც შეეხება ესპანელებს, მათ გაცილებით იოლად გატეხეს ამერიკელთა წინააღმდეგობა – 4:1. ეს ლოგიკურიცაა – გრუნტიან საფარზე ნადალი და ფერერი, მოგეხსენებათ, შეუდარებელი არიან.

◎ ჭადრაკი

## დაწინაურდა ხუხაშვილი

**უკვე გაუწყეთ, რომ წლეულს მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა მსოფლიო ოლიმპიადა გაიმართება. საქართველოს ქალთა ნაკრების სამი წევრი (მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნანა ძაგნიძეძ ცნობილია. დანარჩენი ორი ადგილისთვის 5 დიდოსტატი ორწრიან ტურნირში ხვდება ერთმანეთს.**

პირველი წრის შემდეგ ოთხი შესაძლებლიდან 3,5 ქულით სოფიკო ხუხაშვილი დაწინაურდა. ფაქტობრივად, მას განაღდებული აქვს ნაკრებში ადგილი, რადგან მეტოქეები საგრძნობლად ჩამორჩებიან. მეორე ადგილზე მყოფ ნინო ხურციძეს 2 ქულა აქვს, მესამე-მეხუთე ადგილებს 1,5-1,5 ქულით სოფიკო გვეტაძე, სალომე მელია და მაია ლომინეიშვილი იყოფენ.



გუშინ მეორე წრის პირველ ტურში გვეტაძე-მელია და ხუხაშვილი-ხურციძე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ლომინეიშვილი ისვენებდა.

◎ ფეხბურთი

## აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის II ტურში აღსანიშნავი ფაქტი მოხდა – ხუთიდან ოთხ შეხვედრაში გუნდებმა გოლი უკანასკნელ წუთზე გაიტანეს, აქედან ორში – გადამწყვეტი. ასეთი რამ, დაგვეთანხმებით, საფუძვლიანად გაფიქრებინებს კაცს – ჩვენი ფეხბურთელები ბოლომდე ბრძოლას სწავლობენო. არის კი მართლაც ასე? ამაზე პასუხს მომავალი მატჩები გაგვცემს.**

„დინამო" – „ცხინვალი" 4:1. **გოლები:** გველესიანი, ვაწაძე, მერებაშვილი, სპასოევიჩ; თარხნიშვილი. „მესხეთი" – „ოლიმპი" 1:1. **გოლები:** გონჩაროვი; ჩიკვილაძე. „ვიტ ჯორჯია" – „გაგრა" 2:0. **გოლები:** რაზმაძე, კვალინაძე. „სიონი" – „ზესტაფონი" 0:1. **გოლი:** ხიდაშელი. „მგლები" – „ბორჯომი" 4:1. **გოლები:** თოდუა (2ძ, დარსანია, ქუცურუა; ლაგვილავა. ისვენებდა „ლოკომოტივი".





**სატურნირო მდგომარეობა:** „ვიტ ჯორჯია" – 6, „ზესტაფონი" – 4, „დინამო", „მგლები", „ლოკომოტივი", „სიონი", „გაგრა" – 3-3, „ოლიმპი" – 2, „მესხეთი"–1, „ცხინვალი", „ბორჯომი" – 0-0 ქულა.

**შემდეგი ტური:** „გაგრა" – „მგლები", „ბორჯომი" – „სიონი", „ზესტაფონი" – „მესხეთი" (26 სექტემბერსძ, „ცხინვალი" – „ვიტ ჯორჯია", „ლოკომოტივი" – „დინამო" (27 სექტემბერსძ. ისვენებს „ოლიმპი".

* * *

**იტალია. III ტური.** „ტორინო" – „ინტერი" 1:3, „კალიარი" – „იუვენტუსი" 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი", „იუვენტუსი" – 7-7 ქულა.

**ბომბარდირი:** სარატე („ლაციო"ძ – 4 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ინტერი" – „ლეჩე", „იუვენტუსი" – „კატანია".

**ესპანეთი. III ტური.** „ვალენსია" – „ოსასუნა" 1:0, „ალმერია" – „მალაგა" 1:0, „ნუმანსია" – „ვილიარეალი" 1:2, „ესპანიოლი" – „ხეტაფე" 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვალენსია", „ალმერია", „ვილიარეალი", „ესპანიოლი" – 7-7 ქულა.

**ბომბარდირები:** მესი („ბარსელონა"ძ, ბილიჩი („ხიხონი"ძ, ნეგრედო („ალმერია"ძ, სინამა – პონოლე („ატლეტიკო-ძ – 3-3 გოლი.

**შემდეგი ტური:** „მალაგა" – „ვალენსია", „ვალიადოლიდი" – „ალმერია", „ვილიარეალი" – „რასინგი", „სევილია" – „ესპანიოლი".

**ინგლისი. V ტური.** „ბოლტონი" – „არსენალი" 1:3, „ჩელსი" – „მანჩესტერი" 1:1, „ლივერპული" – „სტოკი" 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „არსენალი" – 12, „ჩელსი", „ლივერპული" – 11-11 ქულა.

**ბომბარდირი:** ზაკი („უიგანი"ძ – 4 გოლი.

**შემდეგი ტური:** „არსენალი" – „ჰალი", „სტოკი" – „ჩელსი", „ევერტონი" – „ლივერპული".

**გერმანია. V ტური.** „შალკე" – „აინტრახტი" 1:0, „ჰოფენჰაიმი" – „ბორუსია" 4:0, „შტუტგარტი" – „კარლსრუე" 3:1, „ვოლფსბურგი" – „ჰამბურგი" 3:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „შალკე" – 11, „ჰოფენჰაიმი", „შტუტგარტი", „ჰამბურგი" – 10-10 ქულა.

**ბომბარდირი:** ჰელმესი („ლევერკუზენი"ძ – 6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „კიოლნი" – „შალკე", „ვერდერი" – „ჰოფენჰაიმი", „ბორუსია" – „შტუტგარტი", „ჰამბურგი" – „გლადბახი".

◎ ინტერნეტიდან

## რუსები იმერეთის ველს იპყრობენ




**ნუ გაგიკვირდებათ, რუსეთის მიერ საქართველოს გარკვეული ნაწილის ოკუპაციის შემდეგ თუ მათ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური სამზადისის დროს „იმერეთის ველიც" დაიპყრონ, საბედნიეროდ, ჯერჯერობით გადარჩენილი ჩვენი მშობლიური იმერეთისა კი არა, აი, ის, სოჭის მახლობლად რომ მდებარეობს და რატომღაც ქართულ სახელს ატარებს.**

რამდენჯერ თავად რუსულმა ტელევიზიებმა გადმოსცეს ის დიდი აქციები, „იმერეთის ველის" საოლიმპიადო ობიექტებით მოსალოდნელი ოკუპაციის გამო რომ აგორდა.

აი, ახლაც სოჭში სახელმწიფო კორპორაციის „ოლიმპსტროის" თავკაცს ვიქტორ კულოდიაჟნის განუცხადებია, რომ უკვე გამოყოფილია მიწების 85 პროცენტზე მეტი, რაც საჭიროა სოჭის ოლიმპიადის მომზადებისთვის. „საკითხები, რაც დაკავშირებულია დანარჩენი მიწების გამოყოფასა და მოქალაქეების იმერეთის ველზე განსახლებასთან, შეიძლება, წლის ბოლომდე გადაწყდეს". ამავე დროს მან განაცხადა, რომ „ოლიმპსტროი" აპირებს კონკურსის გამოცხადებას იმერეთის ველზე სასტუმროების მშენებლობაზე".

## მსაჯის შეცდომა გამოასწორეს



**ფეხბურთის გულშემატკივრებს ალბათ კარგად ახსოვთ ჩემპიონთა ლიგის I ტურის მატჩი „სელტიკსა" და „ოლბორგს" შორის. როდესაც იტალიელმა მთავარმა მსაჯმა მატეო ტრეფოლინიმ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და მინდვრიდის ერთი დამნაშავე ფეხბურთელის მაგიერ სხვა უდანაშაულო მოთამაშე გააძევა.**

შეგახსენებთ, მე-80 წუთზე იტალიელმა მსაჯმა წითელი ბარათი აჩვენა „ოლბორგის" მცველს ბეშამს, თუმცა უხეშად ითამაშა სულ სხვა ფეხბურთელმა – იაკობსენმა. უეფამ გადაწყვიტა – გააუქმოს ბეშამის გაძევება. იაკობსენი კი გამოტოვებს შემდეგ მატჩს ჩემპიონთა ლიგაში – 30 სექტემბერს „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ.

რაც შეეხება ტრეფოლინის, მას, ალბათ, აღარ ამსაჯებენ ევროთასების მატჩებზე ამ სეზონში.

## „ვერცხლის" ტოტი

**იტალიაში ძალზე პოპულარული ფეხბურთელი, „რომას" კაპიტანი და ნახევარმცველი ფრანჩესკო ტოტი მიიღებს A სერიის ყველაზე საპატიო ინდივიდუალურ პრიზს „ვერცხლის ბურთს". ეს პრიზი გადაეცემა „ფეხბურთის ტალანტებს სპორტული პატიოსნებისთვის, მაღალი მორალური სულისკვეთებისა და დიდსულოვნებისათვის".**

ტოტი „რომას" მეორე ფეხბურთელია, ეს პრიზი რომ დაიმსახურა. ადრე ის დამიანო ტომაზიმ მიიღო. ამ საპატიო ჯილდოს კავალრები იყვნენ „ინტერის" კაპიტანი ხავიერ ძანეტი, ანდრეი შევჩენკო, „ვესტ ჰემის" ახალი მწვრთნელი ჯანფრანკო ძოლა და „ბავარიის" თავდამსხმელი ლუკა ტონი. აგრეთვე „მილანის" თავდამსხმელი კაკა.

თუმცა „რომამ" და ტოტიმ მიმდინარე სეზონი წარუმატებლად დაიწყეს, მაგრამ ყველაფერი წინაა.

## შარში გაახვევს

**რატომღაც ასეთი აზრი გავრცელდა, რომ პორტუგალიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველს კრიშტიანუ რონალდუს შარში გაახვევს მისი ახალი „გულის ვარდი" ფერნანდა: იმის გარდა, რომ ძალზე „გემრიელი" მკერდი აქვს, ის მეძავიც აღმოჩნდა და კოკაინის გამავრცელებელიც.**

როგორც ამბობენ, ლამაზმანი გამოძახებითი ქალების ხუთ სააგენტოშია გაერთიანებული. სექსისათვის საათში 460 დოლარს ღებულობს, ხოლო მთელი ღამისთვის – 2 ათას ევროს, მათ შორის ლესბოსური სექსისათვისაც. უმაღლესი ხარისხის კოკაინს კი გრამს 60 ევროდ აფასებს.



„მან მშვენივრად იცის, რომ რონალდუსთვის არ იქნება „პირველი ნომერი". თუმცა ისინი ზოგჯერ სექსითაც არიან დაკავებულნი",– აცხადებს ერთ-ერთი წყარო.

საფესტივალო საღამოები



# ვახტანგ კახიძე: მუსიკა შეძლებს იარების მოშუშებას

**აი უკვე მეთექვსმეტე წელია, რაც თბილისი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „შემოდგომის თბილისის“ მასპინძელია. წლეულს საქართველოში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა ამ პოპულარული ფესტივალის გამართვა საეჭვო გახადა, მაგრამ მისმა საორგანიზაციო კომიტეტმა ორი მნიშვნელოვანი გარემოების გამო კონცერტების გამართვის აუცილებლობის გადაწყვეტილება მიიღო.**

ფესტივალის ხელმძღვანელის, კომპოზიტორის და დირიჟორის **ვახტანგ კახიძის** თქმით, „პირველ რიგში მთელმა მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად, ქართული საზოგადოება სულით არ დაცემულა, პირიქით, გაერთიანდა და გაათმაგებული ენერგიით გააგრძელებს ქვეყნის შენებასა და განვითარებას.

და მეორე, ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი კონცერტებიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

მუსიკის დიადი ძალა სწორედ იმაშია, რომ უნარი შესწევს ნებისმიერი განწყობის გადმოცემისა, ამიტომაც იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს საღამოები ცოტათი მაინც შეამსუბუქებს ქართული საზოგადოების განწყობას და მუსიკა კიდევ ერთხელ შეძლებს სულიერი იარების მოშუშებას“.



ნიშანდობლივია ის, რომ „შემოდგომის თბილისის“ დაარსება 1993 წელს 90-იან წლებში საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ პირველი გამონათება იყო სრულიად დადუმებულ კულტურულ ცხოვრებაში. მისმა სულისჩამდგმელმა, გამოჩენილმა დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ იგი ჩვენს ქვეყანაში მდიდარი საკონცერტო ტრადიციების აღორძინებად ჩაიფიქრა.

წლევანდელი ფესტივალი ხუთი საკონცერტო საღამოთი დაიგეგმა. ხუთივე კონცერტს წარმართავს თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ კახიძის დირიჟორობით. მისი პირველი აკორდები უკვე აჟღერდა კვირას, 21 სექტემბერს, ოპერის თეატრში. საღამომ თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარმოგვიდგინა ახალგაზრდა შემსრულებელი. თბილისის ცენტრალური სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლე ცოტნე ცოცხალაშვილი (პედაგოგი ვეკა სვანიძე). 17 წლის პიანისტის წარმატებული ნაბიჯები საშემსრულებლო ასპარეზზე მას ნიჭიერ მუსიკოსად წარმოაჩენს. ეს დაადასტურა ამ საღამომაც, სადაც მან შოპენის №2 საფორტეპიანო კონცერტი შეასრულა. ელგრის ვარიაციები „ენიგმა“ სიმფონიური ორკესტრის შესრულებით სასიამოვნო სიურპრიზად აღიქვა მსმენელმა.

დღეს საღამოს ორკესტრი მოცარტის, შტრაუსისა და რაველის ქმნილებებს ააჟღერებს. სოლისტად კი მოგვევლინება ფრანგი ვალტორნისტი ერვე ჟულენი.

25 სექტემბერს, თბილისელთათვის კარგად ნაცნობი აზერბაიჯანელი პიანისტი მურად ადიგეზალზადე დაუკრავს რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტს. 2001 წელს თბილისის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული ფართო საკონცერტო მოღვაწეობას მისდევს მსოფლიოში.

ერთი საღამო დაეთმობა კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის მუსიკას. საგანგებოდ ამ დღისათვის ისრაელიდან თბილისში უკვე ჩამოვიდა კომპოზიტორი. სოლისტებად მოგვევლინებიან ამერიკელი ჩელისტი ცვი პლესერი და ვოკალისტი ისრაელიდან ეტი ბენ ზაკენი.

„შემოდგომის თბილისი“ დასრულდება 29 სექტემბერს. ამ დღეს აუდიტორია შეხვდება ახალგაზრდა მომღერლებს მარიამ გულორდავას, ეკა გაბიტაშვილს, მალხაზ დარაშვილს და კახაბერ შანიძეს. სცენაზე ახმიანდება თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გუნდი, საღამოზე შესრულდება მოცარტისა და როსინის ნაწარმოებები. კონცერტს ცხადია წარმართავს თბილისის სიმფონიური ორკესტრი.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი მადლობელია ყველა იმ მუსიკოსისა, რომლებმაც ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, გაიზიარეს ჩვენი გასაჭირი და საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**სურათზე: პიანისტი ცოტნე ცოცხალაშვილი კონცერტის შემდეგ.**

SIC!

**მიუხედავად საქართველოში დატრიალებული ტრაგედიისა, თანამდებობის პირი სამართალდამცველები მუშაობას „ჩვეულ“ რიტმში აგრძელებენ. ქვეყნისთვის ამ უმძიმეს დღეებშიც კი არ მოუთოკავთ პირადი კეთილდღეობისთვის აღძრული მადა. ზოგიერთმა პრეზიდენტის კერძო ბიზნესმენებისთვის დანაპირებიც უგულებელყო.**

# ჩინოსნები პრეზიდენტის იმიჯსაც აღარ უფრთხილდებიან

### გამგებელმა ატრაქციონს დაადგა თვალი

არც ისე დიდი ხნის წინათ ქვეყნის პირველმა პირმა საზეიმო ვითარებაში გახსნა თელავის კულტურისა და დასვენების პარკი „ნადიკვარი“. სააკაშვილი იქვე დაჰპირდა მოსახლეობას, რომ მსგავსი პარკები რეგიონის ყველა დიდ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში შეიქმნებოდა. ადგილობრივებს იმასაც დაჰპირდნენ, რომ პარკებში ინვესტიციების დაბანდებლები ყოველმხრივ ხელშეუხებლები იქნებოდნენ.

„ნადიკვარის“ ამუშავებიდან რამდენიმე დღეში თელავის გამგებელმა ზურაბ ბუცხრიკიძემ პარკში მომუშავე ატრაქციონის გაჩერება მოითხოვა. როდესაც დაპირებებითა და დამუქრებებით ვერაფერს გახდა, სიტყვიდან საქმეზე გადავიდა. ჯერ მაკონტროლებლები შეუგზავნა (რამდენიმე უწყება სხვადასხვა დროსძ, შემდეგ ატრაქციონის ტექნიკური გაუმართაობა მოიმიზეზა, როდესაც ოფიციალური გზითაც ვერაფერი გააწყო, „ნადიკვარში“ პოლიციელები გაამწესა. მათ ყურადღება უნდა მიექციათ იმისათვის, რომ ატრაქციონს არ ემუშავა, არადა მისი გაჩერებით პარკი მომხიბვლელობას კარგავდა. შესაბამისად, მოიკლებდა შემოსავალიც. ბოლოს „ნადიკვარი“ გაჩერდა.

სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მან განკარგულება მისცა შესაბამის უწყებებს, რომ ოფიციალურად ჩამოეწერათ ატრაქციონი ჯართში. ადგილობრივების აზრით, ბუცხრიკიძის მიზანი იყო, „ნადიკვარის“ ტერიტორიის შესყიდვა. ბუცხრიკიძეს სურვილის ასრულება პარკის თანამშრომლებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა არ აცალეს.

თელაველთა დიდმა ჯგუფმა გამგებლის განუკითხაობის აღკვეთის საქმეში დახმარება სთხოვა „ადამიანთა უფლებების დაცვის ცენტრს“. მათი საჩივარი კახეთის საოლქო პროკურატურაში შევიდა. ბუცხრიკიძის თავნებობა იმდენად აშკარა იყო, რომ პროკურატურამ დაიწყო საქმის მასალების მოკვლევა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე. საქმეს საოლქო პროკურატურის უფროსი გამომძიებელი ზურაბ ბეგიაშვილი იძიებს. დღე-დღეზე მან გამგებელი უნდა დაჰკითხოს.

### იშვიათი შემთხვევა

პრეზიდენტის ინიციატივითა და პარლამენტის დასტურით გამოცხადებული საომარი მდგომარეობის პერიოდში სამართალდამცავებს დაევალათ, კიდევ უფრო გაეძლიერებინათ მუშაობა ქვეყნის მთელი მასშტაბით, კანონდარღვევათა აღკვეთის კუთხით, შსს-ს სტრუქტურების უმეტესობამ ეს თავიანთი „ჩვეული“ მუშაობის გააქტიურების მოწოდებად ჩათვალა. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ქვეყნისათვის უმძიმეს ვითარებაში, არაერთი სრულიად უდანაშაულო ადამიანი დააკავეს. ბევრ მათგანს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი. სპეციალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდში დაკავებულთა სტატისტიკას შსს მკაცრად ასაიდუმლოებს. მომხდარზე დუმილს ამჯობინებენ დაზარალებულები, მათი ახლობლები. როგორც ყოველთვის, თავი გამოიჩინა ამგვარი საკითხების მოგვარებაში შსს-ს ფლაგმანმა — სპეციალურმა ოპერატიულმა დეპარტამენტმა. მათი აქტიურობა განსაკუთრებით რეგიონებში შეიმჩნეოდა.

ბათუმში, სრულიად უმიზეზოდ დაკავებულმა გოჩა კეკელიძემ სოდ-ის თანამშრომელთა წინადადებას, გაჰყოლოდა მათ პოლიციის შენობაში, უარით უპასუხა. სამართალდამცავებმა უარი წინააღმდეგობის გაწევად ჩათვალეს. კეკელიძე ოთხმა პოლიციელმა სცემა. იგი ძალით ჩასვეს მანქანაში და უკვე სოდ-ის შენობაში გააგრძელეს მისი ცემა.

დაკავებულმა ადვოკატთან შეხვედრა მოითხოვა. რამდენიმე საათის განმავლობაში მას დამცველთან დაკავშირების უფლებას არ აძლევდნენ. ადვოკატს, მოსვლის შემდეგ, დასჭირდა რამდენიმესაათიანი ხვეწნა, მოთხოვნა, რომ სასტიკად ნაცემი კეკელიძე საავადმყოფოში გადაეყვანათ. საბოლოოდ მედიკოსებმა დაადგინეს, რომ პაციენტს აღენიშნებოდა სახის ძვლის მოტეხილობა, დაჟეჟილობები ზედა და ქვედა კიდურებზე. პოლიცია გვერდს უვლის იმ საკითხს, თუ რა მოტივით დააკავეს და შემდეგ სოდის შენობაში გადაიყვანეს დაზარალებული. არც იმას აცხადებენ, არის თუ არა კეკელიძის მიმართ აღძრული სისხლის საქმე. ბათუმელი პოლიციელები საგულდაგულოდ მალავენ იმ თანამშრომელთა ვინაობას, ვის მიმართაც სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების გადამეტების მუხლით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მომხდარს აჭარის ომბუდსმენი ლადო მგალობლიშვილიც ადასტურებს.

ექსპერტები ეჭვის თვალით უყურებენ იმას, რომ ჩინოვნიკებმა თავიანთი ხელქვეითები გაწირონ: დამნაშავე პოლიციელებს სხვა სამსახურებში გადაიყვანენ, დროებით თანამდებობრივად დააქვეითებენ და ა.შ. თუ მართლაც მოხდა სასწაული და ოთხივე პოლიციელი კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯეს, ეს იქნება სოდ-ის ისტორიაში იშვიათი შემთხვევა.

იხ. 12 გვ.

ინფორმაცია

## ქარელში ასი სახლი „აქსისელებზეა“

**კომპანია „აქსისი“ ქარელის რაიონში 100 ოჯახისთვის საცხოვრებელ სახლებს ააშენებს. ამ მიზნით, მთავრობამ კომპანია ერთ-ერთ კონტრაქტორად აირჩია და დევნილი მოსახლეობისთვის 18 ჰექტარზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა შეუკვეთა.**

„აქსისის“ ინფორმაციით, კომპანია უზრუნველყოფს პროექტის ადმინისტრირებას და იღებს ვალდებულებას, რომ სამუშაოებს 2 თვეში დაასრულებს.

რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას კომპანია „აქსისი“ სისტემატურად ეხმარება.

ჯი-ეიჩ-ენი

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ 20 წლის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. 2 თვის წინათ ტრაგიკულად დამეღუპა მეორე ჯგუფის ინვალიდი, 45 წლის მამა. დედამ ერთი წელია მიატოვა ოჯახი და უცხოეთში გათხოვდა. მამა თვეში 55 ლარს იღებდა. სხვა არავინ მყავს, მამას მიუღებელი დარჩა 3 თვის პენსია. გთხოვთ, განმიმარტოთ, მომეცემა ეს თანხა, როგორც მის ერთადერთ მემკვიდრეს?**

**ნათია ბოცვაძე**

**პასუხი:** მამის მიერ მიუღებელი პენსიის თანხები მოგეცემათ. ამისათვის საჭიროა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს რაიონულ განყოფილებას წარუდგინოთ დაბადების მოწმობა, მამის გარდაცვალების მოწმობა და თქვენი პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

* * *



**კითხვა: ვარ ასაკით პენსიონერი. ერთი წლის წინათ სოფელში ხიდან ჩამოვარდი, რის გამოც მეორე ჯგუფის ინვალიდი გავხდი. მივმართე სოცუზრუნველყოფას ინვალიდობის პენსიის დანიშვნის თაობაზე, მაგრამ უარი მითხრეს: ორ პენსიას ერთად ვერ მოგცემთო. მე ხომ ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა, თან ასაკიც მომემატა და რა იქნება, 40 წლის სტაჟის მქონეს ასაკის პენსია 80 ლარი და ინვალიდობის — 55 ლარი ერთად მომცენ?**

**გურამ შოვნაძე**

**პასუხი:** სამწუხაროდ, ეს დაუშვებელია, ვინაიდან მოქმედი საპენსიო კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა არცერთ კატეგორიას ერთდროულად ორი სახის პენსია არ ეძლევა.

* * *

**კითხვა: ვარ მოსამართლე, მეკუთვნის სახელმწიფო კომპენსაცია (ვთავისუფლდები სამუშაოდან). გთხოვთ განმიმარტოთ, ვის მივმართო ამ საკითხზე?**

**ლეილა ბილიხოძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა ხდება სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ცენტრალურ ოფისში (თბილისი, ჯავახიშვილის, 51ძ, შესაბამისი ორგანოს წარდგინების საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს მოსამართლის განცხადება და ყველა საჭირო დოკუმენტი. თქვენთვის პენსიის დანიშვნის შესაძლებლობის საკითხზე გირჩევთ, მიმართოთ იუსტიციის საბჭოს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

SIC!

(მეთერთმეტე გვერდიდან)

## „კუდიანებზე“ ნადირობა დაიწყო?

საზოგადოებაში ღრმად არის ფესვგამჯდარი აზრი იმის თაობაზე რომ მოსამართლეს, პროკურორს, პოლიციელს უპატიებელი ეპატიება. მაშინ, როდესაც იჭერენ უდნაშაულოს, უმნიშვნელო დანაშაულის ჩამდენს მაქსიმალურ სასჯელს უსჯიან, მკაცრად სჯიან არასრულწლოვანებს.

# ჩინოსნები პრეზიდენტის იმიჯსაც აღარ უფრთხილდებიან

**ნონა შავლაძე, დამნაშავეობის სოციოლოგიის სპეციალისტი:** „საზოგადოებაში ამგვარი მოსაზრება სრულიად საფუძვლიანადაა ფეხმოკიდებული, ყოველთვის კი ძალიან კონკრეტული ახსნა მოეძებნება, პროკურორს, მოსამართლეს, პოლიციელს ხელისუფლება ნიშნავს, ან მის მიერ ხელდასხმული პიროვნება. დღეს პროფესიონალიზმს არავინ აქცევს ყურადღებას. მთავარია სანდოობა და ერთგულება. ეს მოთხოვნები ვრცელდება უმაღლესი ჩინოსნებიდან დაწყებული, დაბალ რგოლებამდე დამთავრებული. ისეთი სტრუქტურები შეიქმნა, რომ უფროსის ნებისმიერი სურვილი თუ ბრძანება იერარქიის კიბეზე დაბლა მდგომმა უცილობლად უნდა შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში საუკეთესო ვარიანტია სამსახურის დაკარგვა (როდესაც ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობაა)ძ, უარესია დაპატიმრება. თუ დაბალჩინოსანი პროტესტს რაიმე ფორმით გამოხატავს, მას აუცილებლად ელის ფიზიკური ანგარიშსწორება, შესაძლოა, მისი უკიდურესი ფორმაც. ამის გამო სამართალდამცავ სტრუქტურებში გამეფებულია თანამშრომელთა შორის უნდობლობის, ურთიერთდასმენის, ურთიერთგაუტანლობის ატმოსფერო, ამ სტრუქტურებში დაისადგურა შიშის სინდრომმა. შიში კი დამნაშავეს წარმოუდგენელ ბოროტმოქმედებაზე უბიძგებს. უფროსების ნება-სურვილის შესრულებისათვის უდანაშაულოსათვის იარაღის, ნარკოტიკის ჩადებაც სწორედ აქედან მომდინარეობს. დავალების წარმატებით შესრულებისათვის სამართალდამცავი ლებულობს ხელშეუხებლობის, დაუსჯელობის გარანტიებს. იგიც, უკვე თავისი შეხედულებისამებრ ექცევა დაუცველთ. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ სამართალდამცავებისაგან შექმნა სამართალდამრღვევთა უშველებელი „არმია“, ეს კი საზოგადოებაზე ხვალ უფრო მძიმედ აისახება, ვიდრე დღეს.

სამართალდამცავებს ხელისუფლება აქტიურად იყენებს პოლიტიკური ოპონენტების მსგავსად მოაზროვნეთა წინააღმდეგ. რამდენიმე დღის წინათ ზუგდიდში დააკავეს კონსერვატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე დემურ ანთია. მას ბრალად იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარება წაუყენეს. მისი თანაპარტიელის ბეჟან გუნავას განმარტებით, ანთიას ხელისუფლებამ მოუწყო პროვოკაცია. მას იარაღი ჩაუდეს. ანთიას იარაღი არასოდეს არ ჰქონდა და მით უმეტეს არც უტარებია. ადგილობრივების ღრმა რწმენით, ანთიას დაკავების მიზეზი სუფთა პოლიტიკურია. იგი 1988 წლიდან ჩაბმული იყო ეროვნულ მოძრაობაში. გასულ წელს ღიად და აქტიურად მონაწილეობდა ნოემბრის აქციებში და, რაც მთავარია, არის ოპოზიციური კონსერვატიული პარტიის წევრი, – ამბობენ ზუგდიდელები. თუ ეს ასეა, ხელისუფლებამ კარგა ხნის წინათ დაპირებული „კუდიანებზე“ ნადირობა დაიწყო?

**ზაზა ბილიხოძე**


უახლესი ტექნოლოგიები

ჰაილიში



ალტერნატივა ქართულ ბაზარზე

ვიტრინა მაცივარი და მინი ბარი სასმელების, რძის პროდუქტების, მედიცინაში წამლების შენახვა-რეკლამირებისთვის

ევრო სტანდარტი
სრული კომპლექტაცია



| მოდელი | ზომა | | | ელ. ენერგიის მოხმარება |
|---|---|---|---|---|
| | სიგრძე | სიგანე | სიმაღლე | |
| SC-110C | 558 | 660 | 883 | 0.7კვ/24სთ-ში |
| SC-348LP | 640 | 625 | 2000 | 1.8კვ/24სთ-ში |
| SC-448LP | 585 | 620 | 1755 | 2.5კვ/24სთ-ში |
| SC-648L | 900 | 580 | 1905 | 2.5კვ/24სთ-ში |

მისაღები ფასები + საგარანტიო მომსახურება

ჩვენი მისამართია: თბილისი, კედიას 15 (ყოფილი კახოვკა, დიდუბეში)
ტელ: 35-50-20. 35-60-78

ელ-ფოსტა: tsikara2005@mail.ru; tsikara2005@yahoo.com



ტურისტული სააგენტო „მეგზური“ გთავაზობთ

ოთხდღიან ტურს 26 სექტემბერს

ტაო-კლარჯეთი: ოშკი, ხახული, იშხანი, ბანა, არტანუჯი, ტბეთი, პარხალი, დოლისყანა.

ფასი – 250 $. შეიცავს მგზავრობას კომფორტული ტოიოტას ავტობუსით, სასტუმრო, ორჯერადი კვება, გიდის მომსახურება.

ტელ: 92-31-32, 92-34-32, 899-97-46-44.


## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge
ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ.
ფაქსი: 98-65-87.


რეკლამა კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.


## კადრი



## ანეკდოტები

მთვრალი ქმარი დილით ბრუნდება სახლში და ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩვენთან კონკურსი ჩატარდა არყის ყველაზე მაგარი მსმელის გამოსავლენად.

– მართლა? საინტერესოა, ვინ დაიკავა მეორე ადგილი?



* * *

რით განსხვავდება ერთგული ქმარი მოღალატისგან?

ერთგულს ზოგჯერ სინდისი ქენჯნის.

* * *

ცუდი გამომუშავებისთვის კარგად სწავლაა საჭირო.

* * *

– გახსოვს, „ძირითად ინსტინქტში“ შერონ სტოუნი პოლიციაში ფეხს ფეხზე როგორ გადაიდებს? – ეკითხება მარო ქმარს.

– როგორ არ მახსოვს.

– აჰა, ეს გახსოვს, ის კი, რომ დღეს ჩვენი ქორწინების წლისთავია, დაგავიწყდა, არა?


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.